N 04/183
10/04/2023

ბრძანება

183-01-4-202304101726

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ოქტომბრის N04/206 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - „გადაწყვეტილება შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ოქტომბრის N04/206 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული ფორმით;
2. დადასტურდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა;
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას) და გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო პირობები ჩამოაყალიბონ ისე, რომ ამ უკანასკნელმა არ შექმნას ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ან სხვა სახის ბარიერი და არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება, მათ შორის არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, რომელიც სასამართლოს აქტის საფუძველზე, მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით;

4. სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალოთ, სატენდერო პირობების ფორმირების პროცესში უზრუნველყონ კონკურენციის პრინციპის დაცვა, მათ შორის, არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, რომელიც სასამართლოს აქტის საფუძველზე მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით;
5. წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეთხოვოს შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საკუთარ ვებგვერდზე განთავსების (ან სხვაგვარი შეტყობინების) გზით;
6. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს, როგორც მომჩივან, აგრეთვე მოპასუხე მხარეებს;
7. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;
8. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ ხაშურის, ქარელის, კასპის, წალკის, გარდაბნისა და დმანისის მუნიციპალიტეტებს;
9. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით;
10. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64);
11. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის წევრების 2023 წლის 10 აპრილის N03/245 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საჩივრის დასაშვებად ცნობის, მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ოქტომბრის N04/206 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

თბილისი
2023

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი....3

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია....3

ნაწილი 2. მოპასუხეების პოზიცია....5

2.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანო.... 5

2.2. გორის მუნიციპალიტეტის მერია.... 6

ნაწილი 3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია.... 7

3.1. 2021-2022 წლებში ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების ანალიზი....7

3.2. სადავო ტენდერების ფარგლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.... 11

3.3. სხვა შემსყიდველი ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაცია.... 15

ნაწილი 4. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია.... 18

4.1. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრისგან მიღებული ინფორმაცია.... 18

4.2. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია....19

ნაწილი 5. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები 20

ნაწილი 6. საკონსულტაციო შეხვედრები 21

ნაწილი 7. სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა.... 22

თავი II. ნორმატიული რეგულირება.... 23

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა.... 23

1.1.კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი.... 23

1.2.კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი.... 24

ნაწილი 2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა....25

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.... 25

2.2. სამშენებლო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა....26

თავი III. შესაბამისი ბაზარი....28

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა....28

1.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები....28

1.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები.... 30

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო.... 31

ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები.... 31

თავი IV. სააგენტოს შეფასება.... 32

ნაწილი 1. შესავალი 32
ნაწილი 2. სააგენტოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები 35
ნაწილი 3. მოპასუხე მხარეები, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატები 39
ნაწილი 4. სადავო სატენდერო პირობები კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით..... 40
4.1..სატენდერო პირობა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეციული უფლებამოსილების საგანი.....40
4.2. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით..... 41
ნაწილი 5. სადავო სატენდერო პირობების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით 42
5.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი..... 43
5.2. სადავო სატენდერო პირობის გამოსადეგობა..... 44
5.3. სადავო სატენდერო პირობის აუცილებლობა..... 54
5.4. სადავო სატენდერო პირობის პროპორციულობა და არადისკრიმინაციულობა.....59
ნაწილი 6. დასკვნა.....62
თავი V. სარეზოლუციო ნაწილი.....63

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - ,,სააგენტო“) 2022 წლის 13 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ (ს/ნ: 400165405) საჩივარი (რეგ:N01/1628), რომელიც ეხებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოსა (ს/ნ: 234232149) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის (ს/ნ: 218086087) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - ,,კანონი“) მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ოქტომბრის N04/206 ბრძანების შესაბამისად, სააგენტომ დაიწყო მოკვლევა კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე.

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია

მომჩივანი ეკონომიკური აგენტი აპელირებდა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

მომჩივანი უთითებს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2022 წლის 18 მაისს გამოცხადებულ NAT220009661 ტენდერზე შესყიდვის ობიექტით: 2022-2023 წლების განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე 2022-2023 წელში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე.[1]

მომჩივანის მითითებით, აღნიშნული ტენდერით გათვალისწინებულია მოთხოვნა, რომ ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში - აკრედიტაციის ცენტრი) მიერ აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოებს, რომელთაც უნდა გააჩნდეთ აკრედიტაცია შესყიდვის ობიექტში ჩაშლილი საზედამხედველო სამუშაოების ყველა მიმართულებით, რაც განსაზღვრულია სატენდერო პირობების 2.7.1. პუნქტით.

მომჩივანის განცხადებით, აღნიშნულ ტენდერში დაწესებულია კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერი. კერძოდ, ერთ-ერთი სატენდერო მოთხოვნის მიხედვით, არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრედენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.[2] ამდენად, მიუხედავად შესაბამის სფეროში აკრედიტაციის არსებობისა, ისეთ ორგანიზაციას, რომელიც იმყოფება დავაში აკრედიტაციის

[1] „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ (ს/ნ: 400165405) 2022 წლის 13 სექტემბრის საჩივარი N01/1628

[2] იქვე

ცენტრთან, სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად შეეზღუდა ტენდერში მონაწილეობის უფლება.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ საქართველოში ოპერირებადი აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოებიდან ერთადერთი ინსპექტირების ორგანო, რომელიც იმყოფება დავის რეჟიმში აკრედიტაციის ცენტრთან, არის შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი", რომელსაც გააჩნია ტენდერში მოთხოვნილი აკრედიტაციის მოქმედი სფერო, თუმცა ზემოაღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე, სატენდერო კომისიის 2022 წლის 8 აგვისტოს N6 სხდომის ოქმით, იმ საფუძვლით რომ მომჩივანსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის მიმდინარეობს დავა, მოხდა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის" დისკვალიფიკაცია.

მომჩივანი ეკონომიკური აგენტი მიუთითებს, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მსგავსად, 2022 წლის 5 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა NAT220015495 ტენდერი შესყიდვის ობიექტით: 2022-2025 წლებში გორის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე, 2025 წელში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე.

მომჩივანის განმარტებით, აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოებს, რომელთაც უნდა გააჩნდეთ აკრედიტაცია შესყიდვის ობიექტში ჩაშლილი საზედამხედველო სამუშაოების ყველა მიმართულებით, რაც განსაზღვრულია სატენდერო პირობებით. თუმცა, აღნიშნულ ტენდერშიც, მსგავსად მარნეულის მუნიციპალიტეტისა, დაწესდა კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერი. კერძოდ, სატენდერო პირობების თანახმად, პრედენტედტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.[3]

მომჩივანი აღნიშნავს, რომ სადავო სატენდერო პირობები პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად არის მიმართული შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფისთვის" სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიღების შეფერხების მიზნით და ქმნის პირდაპირ ბარიერს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

მომჩივანი განმარტავს, რომ მასსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის მიმდინარეობს სასამართლო დავა აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით, თუმცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, საქმის არსებით განხილვამდე შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს" აღუდგა აკრედიტაცია სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის სფეროში. ამასთან, მომჩივანი დღეის მდგომარეობით არაერთ ტენდერში იღებს მონაწილეობას და დაკისრებულ ვალდებულებებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ მსგავს ტენდერებში ხელშეკრულების მოქმედების ვადა არის მრავალწლიანი. შესაბამისად, ნებისმიერი გამარჯვებული ინსპექტირების ორგანო მომდევნო საანგარიშო წელს დადგება აკრედიტაციის შენარჩუნების მიზნით ყოველწლიური სავალდებულო შემოწმების აუცილებლობის წინაშე, რომელსაც შეიძლება გამოუვლინდეს მნიშვნელოვანი შეუსაბამობა და მაკორექტირებელი ღონისძიების განხორციელებამდე, კერძოდ

[3] იქვე

კი, რამდენიმე თვის ვადით შეუჩერდეს აკრედიტაცია ან სრულად გაუუქმდეს. ასეთ დროს შემსყიდველი დადგება ხელშეკრულების შეწყვეტის რისკის წინაშე ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ 1 წლის ვადაში.

მომჩივანმა დამატებით წარმოადგინა ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერზე NAT220020946, სადაც კიდევ უფრო დაკონკრეტდა ჩანაწერი. კერძოდ, პრეტენდენტს თხოვენ უშუალოდ თბილისის საქალაქო სასამართლოდან წარმოადგინონ ცნობა, რომ არ მიმდინარეობს დავა აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით.[4]

ნაწილი 2. მოპასუხეების პოზიცია

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით, საჩივარი დანართებთან ერთად გაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოს[5] და გორის მუნიციპალიტეტის მერიას[6] პოზიციის წარმოსადგენად.

2.1. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანო

2022 წლის 3 ოქტომბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ სააგენტოში წარმოადგინა წერილი (რეგ: N01/1772), რომელშიც მოცემულია მოპასუხის პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, NAT220009661 ტენდერის სატენდერო პირობებით მკაფიოდ და ნათლად არის დაწესებული მოთხოვნა, რომ არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში. აკრედიტაციასთან დაკავშირებით სხვა რაიმე ტიპის დათქმას და შეზღუდვას არ შეიცავს სატენდერო პირობების ჩანაწერი.

მოპასუხის მითითებით, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ წარმოადგინა აკრედიტაციის მოწმობა, რომელშიც ნათლად დაფიქსირებულია, რომ აკრედიტაციის ცენტრსა და შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ შორის მიმდინარეობს სასამართლო პროცესი აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით. მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივანის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ინსპექტირების ორგანო ფლობს აკრედიტაციის სტატუსს და აღნიშნული არ არის მიბმული კონკრეტულ სფეროსთან. მარნეულის მუნიციპალიტეტის მხრიდან არ მომხდარა მომჩივანი კომპანიის შეზღუდვა, რადგან ამ სატენდერო მოთხოვნის დაწესების უწინარესი ლეგიტიმური მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ არ დაზარალდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის

[4] შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის 2022 წლის 24 ოქტომბრის წერილი N01/1898
[5] სააგენტოს 2022 წლის 15 სექტემბრის წერილი N02/826
[6] სააგენტოს 2022 წლის 15 სექტემბრის წერილი N02/825

კანონიერი ინტერესები. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტორი კომპანია სასამართლო დავას აკრედიტაციის ცენტრთან წააგებდა და მისი აკრედიტაციის სტატუსი გაუქმდებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტისადმი მომსახურების გაწევის პერიოდში, დიდი რაოდენობის სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებები დარჩებოდა ქმედითი და ხარისხიანი ინსპექტირების გარეშე.[7]

2.2. გორის მუნიციპალიტეტის მერია

2022 წლის 22 სექტემბერს გორის მუნიციპალიტეტის მერიამ სააგენტოში წარმოადგინა წერილი (რეგ: N01/1687), რომელშიც მოცემულია მუნიციპალიტეტის პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, NAT220015495 ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის 2.7.2 პუნქტით დადგენილი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში, შესაბამისობაში მოდის სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან, ვინაიდან მსგავსი ჩანაწერის არსებობა არ ზღუდავს კონკურენციას, არ არის დისკრიმინაციული და არათანასწორ მდგომარეობაში არ აყენებს პრეტენდენტებს. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მომსახურების მრავალწლიან შესყიდვას. მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ზედამხედველობა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ სამუშაოებზე კომპეტენტური დაკვირვება.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ საზედამხედველო კომპანიისთვის აკრედიტაციის შეჩერების შემთხვევაში ის ვეღარ გააგრძელებს საზედამხედველო საქმიანობას, რადგან ტენდერის პირობების თანახმად აღარ ექნება ამის უფლება. მუნიციპალიტეტს არ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის საჭირო რაოდენობის კადრები, ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსები, რათა საკუთარი ძალებით განახორციელოს ამ რაოდენობის სამშენებლო ობიექტებზე ზედამხედველობა. შესაბამისად, ერთადერთი გამოსავალი ახალი საზედამხედველო კომპანიის შერჩევამდე და მასთან კონტრაქტის გაფორმებამდე იქნება სამშენებლო სამუშაოების შეჩერება. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი დაარღვევს ხელშეკრულებებს სამშენებლო კომპანიებთან. ასევე, არსებობს რისკი, რომ სამშენებლო კომპანიები ზედამხედველობის გარეშე თვითნებურად განახორციელებენ ისეთ სამუშაოებს, რომელთა შემდგომში გადამოწმება/ზედამხედველობის გაწევა შეუძლებელი იქნება. აგრეთვე, საფრთხე შეექმნება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დროულ შესრულებას.

მოპასუხის პოზიციით, მიუხედავად იმისა, რომ საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების პროცესში საზედამხედველო კომპანიის აკრედიტაციის შეჩერების რისკების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, მნიშვნელოვანია საჯარო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდეს მათი მინიმუმამდე დაყვანა.

[7] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 3 ოქტომბრის წერილი N01/1772

მოპასუხის მითითებით, ბაზარზე ფუნქციონირებს 16 კომპანია, რომლებსაც გააჩნიათ აკრედიტაცია სამშენებლო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებზე ზედამხედველობის სფეროში და მათ თავად (ან საჭიროების შემთხვევაში ქვეკონტრაქტორებთან ერთად) შესაძლებელია დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ამ რაოდენობის კომპანიებს შორის კონკურენცია არ შეიზღუდება ერთი ან ორი კომპანიის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში.[8]

ნაწილი 3. სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაცია

3.1. 2021-2022 წლებში ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერების ანალიზი

მოკვლევის პროცესში, სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოძიებულ და დამუშავებულ იქნა განსახილველ პერიოდში, კერძოდ 2021-2022 წლებში 71200000 შესყიდვის კატეგორიით (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) და 71247000 (სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა) კლასიფიკატორის კოდით გამოცხადებული სახელმწიფო შესყიდვები 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევის თაობაზე. იმ მიზეზით, რომ რიგ რელევანტურ ტენდერებში კლასიფიკატორის კოდი შემსყიდველს არ აქვს დაკონკრეტებული, სააგენტოს მიერ დამუშავებულ იქნა 71200000 შესყიდვის კატეგორიის ყველა სახელმწიფო შესყიდვა და გათვალისწინებულია მხოლოდ ის სახელმწიფო შესყიდვები, სადაც ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება წარმოადგენდა.

განხილვის პროცესში სააგენტომ დაადგინა, რომ 2021 წელს 71200000 შესყიდვის კატეგორიით (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), სადაც, ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება წარმოადგენდა, გამოცხადებული იყო 93 სახელმწიფო შესყიდვა. აქედან 82 სტატუსით „ხელშეკრულება დადებულია"; 7 - სტატუსით „არ შედგა" და 4 - სტატუსით „დასრულებულია უარყოფითი შედეგით".

[8] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/1687

დიაგრამა N 1



მათ შორის არის 36 მოკლევადიანი (შესრულების ვადა 31.12.2022 წლამდე) და 46 გრძელვადიანი ხელშეკრულება (დასრულების ვადა 2025 წლის ბოლომდე). 2021 წელს ათვისებული თანხების მოცულობამ შედგენდა 10031717,69 ლარი.

მომჩივან კომპანიას მიღებული აქვს მონაწილეობა 40 ტენდერში, გამარჯვება მოიპოვა 17 ტენდერში, აქედან 5 არის მოკლევადიანი (შესრულების ვადა 31.12. 2022 წლამდე) და 12 გრძელვადიანი ხელშეკრულება (შესრულების ვადა მაქსიმუმ 31.01. 2024 წელი). ***2021 წელს გამოცხადებული ტენდერებიდან არც ერთი მათგანის პირობები არ შეიცავდა მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარ პირობას.***

დიაგრამა N 2



რაც შეეხება 2022 წელს, 71200000 შესყიდვის კატეგორიით (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), სადაც, ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება წარმოადგენდა, გამოცხადებული იყო 97 სახელმწიფო შესყიდვა. აქედან 67 - სტატუსით „ხელშეკრულება დადებულია“; 13 - სტატუსით „არ შედგა“ და 3 - სტატუსით „დასრულებულია უარყოფითი შედეგით/შეწყვეტილია“; 11 - სტატუსით „გამოცხადებულია/შერჩევა/შეფასება“; „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ - 3.

დიაგრამა N 3



2022 წელს ათვისებული თანხების მოცულობა შედგენდა 16 851 113 ლარს. მომჩივან კომპანიას მიღებული აქვს მონაწილეობა 29 ტენდერში, გამარჯვება მოიპოვა 16 ტენდერში, აქედან 11 მოკლევადიანი ხელშეკრულებაა (შესრულების ვადა 31.12. 2023 წლამდე), ხოლო 5 - გრძელვადიანი (შესრულების ვადა მაქსიმუმ 31.01. 2024 წელი).

დიაგრამა N4



სახელმწიფო შესყიდვების განხილვის პროცესში, სააგენტომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივანის მიერ აღნიშნული სადავო პირობა ***2022 წელს გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში გათვალისწინებული იყო შემდეგ 9 ტენდერში:***

NAT220020946 - ხაშურის მუნიციპალიტეტი (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროებში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში. წარმოსადგენი ცნობა გაცემული უნდა იყოს - „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭების შემდეგ;

NAT220015495 - გორის მუნიციპალიტეტის მერია (პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/ და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში);

NAT220009661 - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო (არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/ და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსის მიმართებაში);

NAT220000562 - წალკის მუნიციპალიტეტი (ამასთანავე არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით);

NAT220028803 - წალკის მუნიციპალიტეტი (ამასთანავე არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით);

NAT220027951 - გარდაბნის მუნიციპალიტეტი (რომლის მიხედვითარ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში);

NAT220026045 - დმანისის მუნიციპალიტეტი (რომლის მიხედვით არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში);

NAT220024670 - კასპის მუნიციპალიტეტი (რომლის მიხედვით არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში);

NAT220022673 - ქარელის მუნიციპალიტეტი (რომლის მიხედვით არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში).

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა დასრულებულ ტენდერში, სადაც მომჩივანის მიერ აღნიშნული სადავო პირობებია გათვალისწინებული, გამარჯვებული იყო კომპანია შპს "ოპტიმალ გრუპ + " (ს/ნ: 404911592).

3.2. სადავო ტენდერების ფარგლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

- **NAT220015495 - შემსყიდველი ორგანიზაცია: გორის მუნიციპალიტეტი**

#DET220015495_01(NAT) საჩივრის ფარგლებში დავის საგანს შემსყიდველის მიერ დადგენილი სატენდერო პირობის (2.7.1. პუნქტის მე-2 ნაწილი) ბათილად ცნობა წარმოადგენდა, რადგანაც მომჩივანის (შპს ,,საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი") პოზიციით აღნიშნული პირობა კონკურენციის შემზღუდავი და დისკრიმინაციული იყო.

სადავო სატენდერო პირობის თანახმად, *„პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში".*

მომჩივანის არგუმენტაცია ემყარებოდა სამ გარემოებას:

1. აკრედიტებული ორგანოები აკრედიტაციის ცენტრის მიერ ექვემდებარებიან ყოველწლიურ შემოწმებას, რაც არ გამორიცხავს მოქმედი ხელშეკრულების პირობებში კონკრეტული შშო-თვის (შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ან პირი, რომელიც ახორციელებს შესაბამისობის

შეფასების საქმიანობას და არის აკრედიტებული ან შეიძლება იყოს აკრედიტაციის ობიექტი[9]) აკრედიტაციის სტატუსის ან სფეროს შეჩერებას, ***რაც უთანაბრდება აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით არსებულ დავას.***

2. აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოები ვალდებულნი არიან, დაზღვეული ჰქონდეთ პროფესიული პასუხისმგებლობა, რაც წარმოადგენს შემსყიდველის დაცვის გარანტიას ნებისმიერი ისეთი რისკისგან, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს აკრედიტაციის სტატუსთან.
3. როდესაც კომპანიას აქვს მოქმედების აქტიური სფერო, რომელთან მიმართებითაც არანაირი პრობლემა არ არსებობს, აგრეთვე აკრედიტაციის ციკლი გავლილი აქვს და ამასთან ერთად აკრედიტებულ ინსპექტირების ორგანოს წარმოადგენს, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაცია კომპანიას მსგავს შეზღუდვას უწესებს, რაც კონკურენციის პირდაპირი შეზღუდვაა.

დავის ფარგლებში, დავების განხილვის საბჭომ შემდეგი განმარტება გააკეთა: შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული და მიზანშეწონილია დასახული მიზნის მიღწევა სადავო მოთხოვნის მხოლოდ ამ სახით ჩამოყალიბების შემთხვევაში და მიიღოს არგუმენტირებული გადაწყვეტილება. უნდა დადასტურდეს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახული სათანადო მიზნის მიღწევა შესაძლებელია სატენდერო პირობებში მითითებული მოთხოვნების მხოლოდ არსებული სახით ჩამოყალიბების შემთხვევაში და სხვაგვარად დასახული მიზანი ვერანაირად ვერ მიიღწევა. ამის შედეგად შესაძლებელი იქნება დადგენა, თუ რამდენად არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებული სადავო მოთხოვნები პროპორციული და არადისკრიმინაციული, ***რამდენად უწყობს ხელს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.***

ამდენად, 2022 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დავების განხილვის საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი და გორის მუნიციპალიტეტს დააკისრა ვალდებულება, სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

2022 წლის 15 სექტემბერს სატენდერო კომისიამ განიხილა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება (იხ., გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 2) და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ აკრედიტაციის სტატუსის გადასინჯვა, ასევე აკრედიტაციის სტატუსის თავიდან მოპოვება დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ზუსტად არის განსაზღვრული პროცედურა, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს, წინასწარ განსაზღვრონ ის რისკები, რაც შესაძლებელია მოყვეს აკრედიტაციის სტატუსის განახლებას ან შშო-ს ყოველწლიურ შემოწმებას. რაც შეეხება სასამართლოში არსებულ დავას, რომელიც შესაძლებელია განახლდეს ნებისმიერ დროს და მიღებული იქნას გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, შემსყიდველ ორგანიზაციას ართმევს შესაძლებლობას, დროულად მოახდინოს პრევენცია და შესაძლებელია

[9] სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

ნებისმიერ დროს, ყველა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტი დარჩეს ზედამხედველობის გარეშე.

შესაბამისად, სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ სატენდერო პროცედურები გაგრძელებულიყო არსებული სახით.

მოგვიანებით, მომჩივანმა 2022 წლის 15 სექტემბრის ოქმი N2 გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში (საჩივარი #DET220015495_02(NAT)) და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა. დავების განხილვის საბჭომ, აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით, 2022 წლის 04 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სადავო სატენდერო პირობით შეზღუდულ პირთა მინიმალურ ოდენობას იმისათვის, რომ დადგინდეს, არის თუ არა აღნიშნული ჩანაწერი კონკურენციის შემზღუდველი, რის გამოც მასზე მითითება არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ ხსენებული ჩანაწერი შეესაბამება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას. ამასთან ერთად, დავების განხილვის საბჭომ მიუთითა, რომ სატენდერო კომისიას უნდა ემსჯელა იმის თაობაზე, თუ რა განსხვავება არსებობს აკრედიტაციის შენარჩუნების მიზნით აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებული ღონისძიებებსა და აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით მიმდინარე სასამართლო დავის შესაძლო შედეგებს შორის.

ზემოაღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე, 2022 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დავების განხილვის საბჭომ კვლავ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი, თუმცა 2022 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სატენდერო კომისიამ კვლავ ძალაში დატოვა შესაბამისი მოთხოვნები (იხ., გორის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 4).

მომჩივანმა 2022 წლის 10 ოქტომბრის ოქმი N4 კვლავ გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში (საჩივარი #DET220015495_03(NAT)) და მისი ბათილად ცნობა მოითხოვა. დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით აღნიშნული საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვის დროისთვის შპს „ოპტიმალ გრუპ +“-სა (ს/ნ: 404911592) და გორის მუნიციპალიტეტის მერიას შორის უკვე გაფორმებული იყო 2022 წლის 10 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №148, რის გამოც აღნიშნული საჩივრის განხილვა სცილდებოდა საბჭოს უფლებამოსილებას.

<u>ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ წინამდებარე ტენდერის ფარგლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ არც ერთ ეტაპზე არ იქნა შეფასებული სადავო სატენდერო პირობის შესაბამისობა შესყიდვების კანონმდებლობასთან.</u>

- **NAT220009661 - შემსყიდველი ორგანიზაცია: მარნეულის მუნიციპალიტეტი**

#DET220009661_01(NAT) საჩივრის ფარგლებში დავის საგანს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 2022 წლის 27 ივნისს მიღებული N2 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა წარმოადგენდა, რომლითაც ასევე დადგენილი იყო განსახილველი სადავო პირობა.

კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტმა 2022 წლის 27 ივნისის N2 სხდომის ოქმით პრეტენდენტს დაავალა, რომ სასამართლოდან წარმოედგინა წერილობითი ცნობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ აკრედიტაციის ცენტრის მიერ გაცემულ, ვალიდურად ძალაში მყოფ აკრედიტაციის მოწმობასთან მიმართებით სასამართლოში დავა არ მიმდინარეობდა, თუმცა, სატენდერო მოთხოვნების მიხედვით, ამ ცნობის წარდგენის ვალდებულება პრეტენდენტს არ ჰქონდა.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ გაასაჩივრა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს სატენდერო კომისიის 2022 წლის 27 ივნისის სხდომის №2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება. საბჭომ იმსჯელა მხოლოდ აღნიშნული ცნობის მოთხოვნის კანონიერებასთან და არა ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობების შინაარსთან დაკავშირებით.

დავების განხილვის საბჭოს მიერ 2022 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტების თანახმად, დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული სატენდერო პირობებით. ამდენად, საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა და საბჭომ მარნეულის მუნიციპალიტეტს მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით დაავალა.

საბოლოოდ, სატენდერო კომისიამ აღასრულა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება, გააუქმა მის მიერ მიღებული წინა ოქმები და თავად მიმართა აკრედიტაციის ცენტრსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ გარემოების გასარკვევად, მიმდინარეობდა თუ არა სასამართლოში დავა მომჩივანის აკრედიტაციასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭომ **შეაფასა მომჩივანის მიერ შემსყიდველის მოთხოვნის მხოლოდ შესრულება/არშესრულების ფაქტი და არა მოთხოვნის მართლზომიერება.** ამდენად, ***<u>განხილული ტენდერის ფარგლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ არც ერთ ეტაპზე არ იქნა განმარტებული სადავო სატენდერო პირობის შინაარსი.</u>***

- **NAT220020946 - შემსყიდველი ორგანიზაცია: ხაშურის მუნიციპალიტეტი**

#DET220020946_01(NAT) საჩივრის ფარგლებში დავის საგანს შემსყიდველის მიერ დადგენილი სატენდერო პირობის (სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოდან ცნობის წარდგენასთან დაკავშირებით) ბათილად ცნობად წარმოადგენდა, რადგანაც მომჩივანის (შპს ,,საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“) პოზიციით აღნიშნული პირობა კონკურენციის შემზღუდავი და დისკრიმინაციული იყო.

დავების განხილვის საბჭომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. აკრედიტაციის ცენტრის იურიდიული მისამართი ქ. თბილისში მდებარეობს, რის გამოც საბჭომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოდან ცნობის წარდგენის მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

საბჭოს მოცემული განმარტება შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოდან წერილობითი ცნობის წარდგენის მოთხოვნის კანონიერებას, რაც არ მიუთითებს ზოგადად სატენდერო პირობის განსახილველი შინაარსით მოთხოვნის დადგენის ე.ი. დავის არარსებობის შესახებ სასამართლოდან წერილობითი ცნობის წარდგენის მოთხოვნის მართლზომიერებაზე, მით უფრო ,,კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონთან მიმართებით.

მოცემულ შემთხვევაში, საბჭო მიიჩნია, რომ სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა ექნება შემსყიდველ ორგანიზაციას იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიმწოდებელს აკრედიტაცია შეუმცირდება/შეუჩერდება/გაუუქმდება და რით განსხვავდება ხსენებული შემთხვევა აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით მიმდინარე სასამართლო დავის შესაძლო შედეგებისგან.

ამდენად, 2022 წლის 02 ნოემბრის გადაწყვეტილების ფარგლებში, დავების განხილვის საბჭომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი და ხაშურის მუნიციპალიტეტს დააკისრა ვალდებულება, სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის გათვალისწინებით და სახელმწიფო მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ 2022 წლის 04 ნოემბერს მიიღო ოქმი N3. აღნიშნული ოქმის თანახმად, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად დადგება აკრედიტირებული შშო-ს არაგეგმიური შეფასების იურიდიული საფუძველი და რამდენად იქნება აღნიშნული საფუძველი აკრედიტაციის შეჩერების, გაუქმების ან შემცირების მიზეზი, განსხვავდება აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით უკვე მიმდინარე სასამართლო დავისგან, რომელიც წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც აკრედიტირებულ პირს შეუჩერდა, გაუუქმდა ან შეუმცირდა აკრედიტაცია. რაც შეეხება სასამართლოდან ცნობის წარმოდგენის მოთხოვნას, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ტექნიკური მიზეზების გამო, აკრედიტაციის ცენტრში შესაძლოა ოპერატიულად არ აისახოს ინფორმაცია სტატუსის შეჩერების, გაუქმების ან შემცირების თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული ოქმის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი გაგრძელდა, ხოლო ეს ოქმი არ იქნა გასაჩივრებული.

<u>ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ არც ზემოგანხილული ტენდერის ფარგლებში დავების განხილვის საბჭოს მიერ არც ერთ ეტაპზე არ იქნა განმარტებული სადავო სატენდერო პირობის შინაარსი და მისი შესაბამისობა შესყიდვების კანონმდებლობასთან.</u>

3.3. სხვა შემსყიდველი ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაცია

3.1.1.შემსყიდველი ორგანიზაციებისაგან მიღებული ინფორმაცია, რომელთაც გამოყენებული აქვთ სადავო სატენდერო პირობის ანალოგიური ჩანაწერი

სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სხვა მუნიციპალიტეტების მიერ 2022 წლიდან 2023 წლის იანვრის

თვის ჩათვლით პერიოდში გამოცხადებული ანალოგიური შინაარსის სახელმწიფო ტენდერებში ჩადებული ზემოხსენებული სადავო პირობების არსებობის ფაქტები, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ხსენებულ საანგარიშო პერიოდში გამოცხადებულ ტენდერებში, ხაშურის (NAT220020946), წალკის (NAT220000562), (NAT220028803), გარდაბნის (NAT220027951), დმანისის (NAT220026045), კასპის (NAT220024670) და ქარელის (NAT220022673) მუნიციპალიტეტის მერიებმა დაადგინეს ანალოგიური სატენდერო პირობები.[10]

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, სააგენტომ 2022 წლის 20 დეკემბერს, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართა ხაშურის[11] და წალკის[12] მუნიციპალიტეტის მერიებს, ხოლო 2023 წლის 24 იანვარს ქარელის[13], დმანისის[14], გარდაბნის[15] და წალკის[16] მუნიციპალიტეტის მერიებს. ორგანიზაციებისგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია, თუ რით იყო განპირობებული მათ მიერ 2022 წელს გამოცხადებულ ტენდერებში ხსენებული სატენდერო პირობის ჩადების აუცილებლობა და რა მიზანს ემსახურებოდა იგი, მითუმეტეს, იმ ფონზე, რომ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს მსგავსი სატენდერო პირობა არცერთი შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან არ ყოფილა გათვალისწინებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, 2023 წლის 6 იანვარს წარმოდგენილ კორესპონდენციაში[17] მოცემული განმარტებით, სასამართლოდან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში ცნობის წარმოდგენის მოთხოვნა გამოწვეულია იმით, რომ ტენდერის „შერჩევა-შეფასების“ ეტაპის მიმდინარეობისას სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ტექნიკური მიზეზების გამო აკრედიტაციის ცენტრში შესაძლოა ოპერატიულად არ აისახოს ინფორმაცია სტატუსის შეჩერების, გაუქმების ან შემცირების თაობაზე და მუნიციპალიტეტს არ მიეცეს წარმოდგენილი აკრედიტაციის გადამოწმებისა და რეალური მდგომარეობის დადგენის საშუალება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, საპასუხო წერილში აგრეთვე აღნიშნავს, რომ დღესდღეისობით ბაზარზე ფუნქციონირების 10-ზე მეტი კომპანია, რომლებსაც გააჩნიათ აკრედიტაცია სამშენებლო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებზე ზედამხედველობის სფეროში. შესაბამისად, ამ რაოდენობის კომპანიების არსებობის პირობებში, ერთი ან ორი კომპანიის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში სასამართლო დავის არსებობისას, სადავო მოთხოვნა არსებითად არ ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას. ამასთანავე, სადავო მოთხოვნა განპირობებულია აკრედიტაციის სტატუსის შეჩერებით გამოწვეული რისკების შეძლებისამებრ შემცირების და არა რომელიმე ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის შექმნის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას მიაჩნია, რომ სატენდერო პირობებით განსაზღვრული მოთხოვნები შემსყიდველი ორგანიზაციის

[10] მოკვლევის ჯგუფის 2023 წლის 31 იანვრის №03/51 მოხსენებითი ბარათი.
[11] სააგანტოს 2022 წლის 20 დეკემბრის №02/1314 წერილი
[12] სააგანტოს 2022 წლის 20 დეკემბრის №02/1313 წერილი
[13] სააგანტოს 2023 წლის 24 იანვრის №02/194 წერილი
[14] სააგანტოს 2023 წლის 24 იანვრის №02/195 წერილი
[15] სააგანტოს 2023 წლის 24 იანვრის №02/196 წერილი
[16] სააგანტოს 2023 წლის 24 იანვრის №02/197 წერილი
[17] ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 6 იანვრის წერილი რეგ. N01/21

საჭიროების ადეკვატური, აუცილებელი, გამოსადეგი და პროპორციულია, ვინაიდან ემსახურება ყველა მიმდინარე სამშენებლო ობიექტზე საზედამხედველო მომსახურების გაურკვეველი ვადით შეჩერების პრევენციას, შეჩერების ფაქტით გამოწვეული ზიანის და მუნიციპალიტეტის მერიის რეპუტაციის შელახვის აცილებას.

წალკის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წლის 30 დეკემბრის კორესპონდენციით[18] სააგენტოს აცნობა, რომ სადავო ჩანაწერის ჩადება სატენდერო პირობებში ემსახურებოდა შემდეგ მიზანს - პრეტენდენტს, რომელიც იმყოფება დავაში აკრედიტაციის ცენტრთან უჩერდება აკრედიტაცია და შესაბამისად, ასეთი ორგანოს მიერ გაწეული მომსახურება შეუძლებელია მოიცავდეს შესაბამისი აკრედიტაციის სფეროს.

რაც შეეხება დმანისის, კასპის და ქარელის მუნიციპალიტეტის მერიების პოზიციებს[19], ისინი სატენდერო პირობებში სადავო ჩანაწერის არსებობას ძირითადად ხსნიან მომსახურების გამწევი ორგანიზაციის მხრიდან აკრედიტაციის დაკარგვის (შეჩერების) რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზეზით. რაც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის პოზიციას, სააგენტოს მიმდინარე წარმოების ფარგლებში ამ ორგანიზაციის მხრიდან კორესპონდენცია არ მიუღია.

3.1.2. მომჩივანის კონტრაქტორი შემსყიდველი ორგანიზაციებისგან მიღებული ინფორმაცია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დამატებითი გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, სააგენტომ აგრეთვე მიმართა იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს[20] (შპს „საქართველოს მელიორაცია“, გარემოსდაცვითი ზედამხვედველობის დეპარტამენტი, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“ და საქართველოს უზენაესი სასამართლო), რომლებსაც სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში 71247000 (სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა) კლასიფიკატორის კოდით გამოცხადებულ ტენდერებში 2022 წლის განმავლობაში დადებული აქვთ ხელშეკრულება მომჩივან კომპანიასთან - შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“. სააგენტოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ ხელშეკრულების დადებიდან დღემდე, ამ უკანასკნელსა და აკრედიტაციის ცენტრს შორის მიმდინარე სასამართლო დავის გამო, შემსყიდველ ორგანიზაციებს შექმნიათ თუ არა რაიმე სახის პრობლემა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაწილში ან ფიქრობენ თუ არა, რომ მომავალში შეიძლება დადგეს ხელშეკრულების შესრულების რამე რისკი ზემოხსენებული მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 31 იანვრის თვის მდგომარეობით, სააგენტოს პასუხი აცნობა ექვსმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ[21] (შპს „საქართველოს მელიორაცია“, ტყიბულის

---

[18] წალკის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 9 იანვრის წერილი რეგ. N01/25

[19] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 26 იანვრის წერილი რეგ. N01/281, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 26 იანვრის წერილი რეგ. N01/281, ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 31 იანვრის წერილი რეგ. N01/342

[20] სააგენტოს 2022 წლის 20 დეკემბრის №02/1312 წერილი, სააგენტოს 2022 წლის 21 დეკემბრის №02/1326, 02/1325, 02/1322, 02/1324, 02/1323, 02/1319, 02/1320, 02/1321, 02/1318 წერილები

[21] ტყიბულის მერიის 2022 წლის 26 დეკემბრისწერილი რეგ: N01/2475, შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი რეგ: N01/2533 , საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 9 იანვრის წერილი რეგ: N01/37 , გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2023 წლის 10 იანვრის წერილი რეგ: N01/60 ,

მუნიციპალიტეტის მერია, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია, გარემოსდაცვითი ზედამხვედველობის დეპარტამენტი და საქართველოს უზენაესი სასამართლო), რომლებიც აცხადებენ, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაწილში მიმწოდებლის მხრიდან პრობლემები არ დაფიქსირებულა და ამ ეტაპისათვის, არ აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ მომავალში, შესაძლოა, დადგეს ხელშეკრულებების პირობების შესრულების რაიმე რისკი. გამონაკლისი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელმაც დასმულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხი არ დააფიქსირა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მასსა და მომსახურების გამწევ კომპანია შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ შორის ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით. აგრეთვე, გარემოსდაცვითი ზედამხვედველობის დეპარტამენტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივან კომპანიასთან ხელშეკრულება დადებულია საზედამხედველო მომსახურებაზე, საქმიანი ურთიერთობა ფაქტობრივად არ შემდგარა, იმ მიზეზით, რომ მათ მიერ ასაშენებელი ობიექტის შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა.

ნაწილი 4. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია

4.1. სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრისგან მიღებული ინფორმაცია

სააგენტომ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საქმის გარემოებათა გამოკვლევის და დაზუსტების მიზნით მიმართა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სააგენტომ 2022 წლის 18 ოქტომბერის N02/923 წერილით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრისგან საქმისთვის არსებითი გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით გამოითხოვა ინფორმაცია.

აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, 2021 წლის ივნისში, აკრედიტაციის ცენტრმა ჩაატარა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ A-ტიპის ინსპექტირების ორგანოს ყოველწლიური შეფასების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა შეუსაბამობასთან ერთად დაფიქსირდა №5 მნიშვნელოვანი შეუსაბამობა. კერძოდ, ინსპექტირების ორგანოს მიღებული აქვს მონაწილეობა ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე (NAT200008683), შემსყიდველი - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. ამავე ხელშეკრულების დანართი №2-ით დადგენილი იყო საზედამხედველო პირობები, რაც შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ აკრედიტირებულ სფეროს არ შეესაბამებოდა და შესაბამისად, შესაბამისობის შემფასებელი ორგანო არ იყო უფლებამოსილი

ხარაგაულის მერიის 2023 წლის 16 იანვრის წერილი რეგ: N01/149 და ზესტაფონის მერიის 2023 წლის 13 იანვრის წერილი რეგ: N01/133

აკრედიტირებული სფეროს ფარგლებში განეხორციელებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული ის საქმიანობა, რომელიც მან განახორციელა.[22]

აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, აკრედიტაციის ცენტრს აქვს მიმდინარე სასამართლო დავა სხვადასხვა სფეროში აკრედიტირებულ შშო-ებთან. რაც შეეხება, სამშენებლო სფეროში აკრედიტირებულ ინსპექტირებულ ორგანოებს, ამჟამად მხოლოდ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ აქვთ დავა.

აკრედიტაციის ცენტრის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დავა დასრულდება აკრედიტაციის ცენტრის სასარგებლოდ, აკრედიტაცია შეჩერებული/შემცირებული/გაუქმებული სტატუსის მქონე შშო-ს მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, სადავო აკრედიტაციის სფეროში გაცემული ინსპექტირების ანგარიშები შეფასდება, როგორც აკრედიტაციის სიმბოლოს უკანონო გამოყენებით გაცემულად და შესაბამისად, იურიდიული ძალის არმქონედ. აგრეთვე, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შესრულების წინაპირობად განსაზღვრულია აკრედიტირებული სტატუსის მქონე პირის მიერ განხორციელებული ინსპექტირება/ზედამხედველობა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას, თავისთავად, შესაძლოა მიადგეს ზიანი.

4.2. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია

სააგენტომ 2023 წლის 12 იანვრის წერილით სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა ინფორმაციის მოწოდების თხოვნით, თუ რამდენად ხშირია ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული ეკონომიკური აგენტის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/შესრულების შეუძლებლობის შემთხვევები შესაბამისი აკრედიტაციის შეჩერების, გაუქმების ანდა აკრედიტაციის სფეროს შეჩერების მიზეზით. ასევე, იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურების გამწევი ტენდერში გამარჯვებული კომპანია ვეღარ აგრძელებს საზედამხედველო საქმიანობას, შემსყიდველ ორგანიზაციას, გარდა დადგენილი წესით ხელახალი ტენდერის გამოცხადების შესაძლებლობისა, გააჩნია თუ არა რაიმე დამატებითი ბერკეტი იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ჩაანაცვლოს კონტრაქტორი ეკონომიკური აგენტი.

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განმარტებით, შესყიდვების სააგენტო, კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საქმიანობის ფარგლებში, არ ახორციელებს სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავებას, შესაბამისად, მოცემული მონაცემები სააგენტოში დაცული არ არის.

რაც შეეხება მიმწოდებლის ჩანაცვლებას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 36-ე მუხლით განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი, მათ შორის, მოცემული მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია

[22] აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01/1934 წერილი

ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა (ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვა).[23]

ნაწილი 5. ახსნა-განმარტებითი შეხვედრები

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის № 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის შესაბამისად, მოკვლევის მიმდინარეობის პროცესში საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების დაზუსტების მიზნით სააგენტოში გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომები მხარეებთან.

2023 წლის 17 იანვარს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოსთან. მოპასუხის პოზიციით, NAT220009661 ტენდერში სადავო პირობის ჩადების მიზანს წარმოადგენდა ის, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ შეჩერებოდა, შეწყვეტოდა ან შემცირებოდა აკრედიტაციის სტატუსი, რომელიც გამოიწვევდა ხელშეკრულების შეუსრულებლობას და დიდ ზიანს მიაყენებდა მუნიციპალიტეტს.[24]

მოპასუხემ დაადასტურა, რომ ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის ციკლის განმავლობაში ყოველწლიური შეფასებესას დგება აკრედიტაციის შეჩერების, შემცირების ან გაუქმების რისკის წინაშე, თუმცა ამასთან, აღნიშნავს, რომ უკვე მიმდინარე სასამართლო პროცესი აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით წარმოადგენს უფრო დიდ რისკს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

2023 წლის 17 იანვარს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომა გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან. მოპასუხემ აღნიშნა, რომ NAT220015495 ტენდერში სადავო პირობის ჩადების მიზანს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების რისკების მაქსიმალურად დაზღვევა. უფრო მაღალი რისკის შემცველია ის, რომ კომპანიას აქვს სასამართლოში დავა, ვიდრე ის, რომ აქვს მიმდინარე აკრედიტაციის სტატუსი. მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების მოქმედების ვადაში არ შეჩერებოდა, შეწყვეტოდა ან შემცირებოდა აკრედიტაციის სტატუსი, რომელიც გამოიწვევდა ხელშეკრულების შეუსრულებლობას და დიდ ზიანს მიაყენებდა მუნიციპალიტეტს.[25]

მოპასუხემ დაადასტურა, რომ ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის ციკლის განმავლობაში ყოველწლიური შეფასებესას დგება აკრედიტაციის შეჩერების, შემცირების ან გაუქმების რისკის წინაშე, თუმცა უკვე მიდმინარე სასამართლო პროცესი აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით წარმოადგენს უფრო დიდ რისკს შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

[23] სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2023 წლის 17 იანვრის წერილი N01/198

[24] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები

[25] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები

2023 წლის 23 იანვარს გაიმართა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“. მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აკრედიტაციის ცენტრთან სასამართლო დავის მიუხედავად, იგი ფლობს აკრედიტაციას ტენდერით გამოცხადებულ სფეროში და შემსყიდველის მიერ სატენდერო პირობად ჩადებული სადავო შეზღუდვა კომპანიის საქმიანობის გაგრძელებას აფერხებს.

მომჩივანის განმარტებით, ნებისმიერი აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანო აკრედიტაციის შენარჩუნების მიზნით გადის ყოველწლიურ სავალდებულო შემოწმებას. შესაბამისად, იმ პირობებში როდესაც მსგავსი ტენდერები არის მრავალწლიანი, რისკი იმისა, რომ ხელშეკრულების მოქმედების პირობებში ინსპექტირების ორგანო დადგეს აკრედიტაციის შეჩერების, შემცირების ან გაუქმების წინაშე, ყოველთვის არსებობს.[26]

ნაწილი 6. საკონსულტაციო შეხვედრები

,,საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის № 40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის შესაბამისად, საქმისათვის რელევანტური გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით, გაიმართა საკონსულტაციო სხდომები ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

2023 წლის 24 იანვარს გაიმართა საკონსულტაციო სხდომა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრთან. აღნიშნული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საქმისთვის არსებითი გარემოებების დადგენა და დაზუსტება. აკრედიტაციის ცენტრმა განმარტება გააკეთა კანონმდებლობით მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების რიგი საკითხებისა და შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ მიმდინარე სასამართლო დავის შესახებ.

აკრედიტაციის ცენტრის განმარტებით, აკრედიტაცია გაიცემა 4 წლის ვადით და ყოველ წელს შესაბამისობის შემფასებელი ორგანოები გადიან ყოველწლიურ სავალდებულო შეფასებას და ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებულია არაგეგმიური შეფასება. რისკი იმისა, რომ ყოველწლიური ან არაგეგმიური შეფასების დროს გამოვლინდეს კონკრეტული შეუსაბამობა, რომლის ფარგლებშიც აკრედიტაციის ცენტრი მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას, მათ შორის, აკრედიტაციის სფეროს შეჩერებისა თუ სფეროს გაუქმების შესახებ, ყოველთვის არსებობს. თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე გამოვლენილია კონკრეტული შეუსაბამობა და მიღებულია გადაწყვეტილება აკრედიტაციის ცენტრის მიერ, ვითარება სრულიად განსხვავებულია.[27]

2023 წლის 27 იანვარს გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს განმარტებით მიმწოდებლის

[26] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/35 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N3 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები

[27] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/38 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები

ჩანაცვლების პრაქტიკა წარმოადგენს იშვიათობას. შესყიდვების კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელშეკრულებაში მიმწოდებლის ჩანაცვლებას, თუმცა ეს ძირითადად იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც მიმწოდებელს ფიზიკურად აღარ შეუძლია მომსახურების გაწევა. მაგალითად, სახეზეა ორგანიზაციის შერწყმა, გაყოფა და სხვა.

აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ განმარტა, რომ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით განსაზღვრულია გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება საქმის შესწავლა და შესაბამისი საფუძვლის არსებობისას გაიცემა თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე.[28]

ნაწილი 7. სააგენტოს გადაწყვეტილების პროექტის გაცნობა და შემაჯამებელი სხდომა

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 27-ე მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების შემდგომ, მხარეებსა და განმცხადებელს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები (კონფიდენციალურობის დაცვით) გადაეგზავნათ კანონით დადგენილ ვადაში და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა არაუგვიანეს 2023 წლის 7 მარტისა.[29]

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია წარმოადგენა მხოლოდ მოპასუხე მხარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ[30] და მიუთითა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა გასათვალისწინებელ სახელმძღვანელოდ მიიღებს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოკვლევის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებასა და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დამდგარ სამართლებრივ შედეგებს.

მოკვლევის დასკვნით ეტაპზე 2023 წლის 10 აპრილს გაიმართა შემაჯამებელი სხდომა.[31] სხდომას სააგენტოში ფიზიკურად ესწრებოდა მომჩივანი მხარის წარმომადგენლები თ.კ. და ა.დ., მომჩივანმა მხარემ აღნიშნა, რომ ის სრულად ეთანხმება სააგენტოს გადაწყვეტილებას და მის სამოტივაციო ნაწილსა და შესაბამის დასაბუთებას. სხდომას დისტანციურ რეჟიმში ესწრებოდნენ მოპასუხე მხარეების მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის) წარმომადგენელი მ.ს. და გორი მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ა.თ., შესაბამისად, მოსმენილ იქნა მათი პოზიცია გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით.

ვინაიდან, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გათვალისწინებული იყო/არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ჩართულობა გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს აგრეთვე გაეგზავნა მოწვევა შემაჯამებელ სხდომაზე

[28] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერები

[29] სააგენტოს 2023 წლის 28 თებერვლის N02/464, N02/465, N02/466 წერილები

[30] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 მარტის წერილი N01/856

[31] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 აპრილის მოხსენებითი ბარათი N03/238

გადაწყვეტილების პროექტთან ერთად,[32] თუმცაღა, სააგენტოს არ მიუღია შესაბამისი უკუკავშირი.

თავი II. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობა

1.1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე," ხოლო, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით - "მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია."

„კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი") პირველი მუხლის თანახმად, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი, მისი მიზანია, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა, ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნა, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა და ა.შ.

კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამავე კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში – „სააგენტო"). სააგენტოს ძირითადი ამოცანაა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისთვის პირობების შექმნა და დაცვა, ამ მიზნით ყველა სახის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა.

სააგენტოში საჩივრის და განცხადებების წარმოდგენის და აგრეთვე სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-10 მუხლი ე.წ. Numerus Clausus-ის პრინციპის[33] მიხედვით, ამომწურავად განსაზღვრავს იმ ქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა განხორციელებაც ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ:

[32] სააგენტოს 2023 წლის 28 მარტის წერილი N02/463

[33] „დახურულ რიცხვთა პრინციპი": მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ ამომწურავ ჩამონათვალზე

ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1.2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტო სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსთან ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან მიმართებით უფლებამოსილია, ამავე კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ ორგანოს მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე. დასახელებულ ორგანოებთან მიმართებით, სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია, კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების ან განხორციელებული კანონის საწინააღმდეგო ქმედების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილების გაუქმება ან ქმედების აკრძალვა, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაბამისი საკითხი განსახილველად დასვას ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია, ზემოთ დასახელებულ ორგანოს წარუდგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები საქართველოს სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების, შესაბამის ბაზარზე შესვლის

საკანონმდებლო ბარიერების ან/და ადმინისტრაციული ბარიერების არსებობისა და მათი აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე და ა.შ.

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და ეკისრება მტკიცების ტვირთი. კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომჩივანი წარმოადგენს ეკონომიკური აგენტს, რომელსაც მიაჩნია, რომ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მას უშუალოდ ადგება ქონებრივი ზიანი, რაზედაც შესაბამისი საჩივრით მიმართავს სააგენტოს.

კანონის 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ასევე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 6 თვის ვადაში. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 18 თვემდე.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას. სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ნაწილი 2. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა

2.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამავე კანონის მე-2 მუხლში კანონმდებელმა ნათლად და მკაფიოდ დაადგინა მისი მიზნები, კერძოდ:

ა) სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

ბ) სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

გ) სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

ე) სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, ხოლო მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი განსაზღვრავს ამ უკანასკნელი ორგანიზაციის უფლებამოსილებას, კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი და დადოს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანონის 10[1] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ხოლო ამავე კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ***ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას*** და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით კი, შესყიდვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტო ახორციელებს მონიტორინგს შესყიდვის პროცესში ისეთი პრინციპების დაცვაზე, როგორიცაა საჯაროობა, სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა, დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულება და ანგარიშგება, ღია და ***ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა,*** რაციონალური და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა.

2.2. სამშენებლო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობა

2.2.1 საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდგომში - „სამშენებლო კოდექსი") პირველი მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტი განსაზღვრავს, რომ აღნიშნული კოდექსი ადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის,

მშენებლობის ზედამხედველობის, სამშენებლო სამართალდარღვევათა ცალკეულ სახეებს, პასუხისმგებლობის ზომებს, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წესებს.

სამშენებლო კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მშენებლობის ზედამხედველობის ერთ-ერთი სახეა მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა, ხოლო ამავე კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მშენებლობის ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანო ან/და სერტიფიცირებული ექსპერტი. თავის მხრივ, აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს მშენებლობის ზედამხედველობას ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.

2.2.2. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-15 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში მოცემულია ინსპექტირების ორგანოს ლეგალური დეფინიცია, კერძოდ ასეთ პირს წარმოადგენს ობიექტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი დამოუკიდებელი პირი, რომელიც რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და აკრედიტებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აგრეთვე სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

ამავე კოდექსის 87-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ამ კოდექსის შესაბამისად ხორციელდება შესაბამისობის შეფასების ობიექტის ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, ხოლო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კი აკრედიტაცია არის ოფიციალური საექსპერტო შეფასება, რომლის საფუძველზედაც აკრედიტაციის ცენტრი აკრედიტაციის მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენტურობას შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელებისათვის. აკრედიტაციის ცენტრი არ არის შესაბამისობის შემფასებელი ორგანო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამავე კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელ პირთა აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული იმ წესებისა და პროცედურების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, აკრედიტაციის სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული ორგანიზაციების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

2.2.3. აკრედიტაციის წესები და პროცედურები

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის საფუძველზე, აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით

დამტკიცებულია „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“ (შემდგომში - „აკრედიტაციის წესები“).

„აკრედიტაციის წესების“ პირველი მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია, რომ ამ წესების მიზანი და ამოცანებია - დაადგინოს „აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს/პირის აკრედიტაციასთან დაკავშირებული განაცხადების მიღების, დამუშავების, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები საქართველოს კანონმდებლობისა და შესაბამისი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტში დაკონკრეტებულია „აკრედიტაციის ცენტრის“ უფლებამოსილება ზემოხსენებულ სფეროში, კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, იგი თავად წარმართავს აკრედიტაციის პროცესს და პასუხისმგებელია შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაზე, მათ შორის, აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციის შენარჩუნების, აკრედიტაციის სფეროს გაფართოების, აკრედიტაციის შემცირების, აკრედიტაციის შეჩერების ან გაუქმების თაობაზე. აკრედიტაციის ცენტრს არ აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს (სხვა პირს) მის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებები.

თავი III. შესაბამისი ბაზარი

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა

1.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან - ტენდერებთან მიმართებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული მოკვლევების ფარგლებში, სააგენტოს უკვე დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 07 აგვისტოს №113 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში სააგენტომ განმარტა, რომ *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ყოველი ტენდერის შემთხვევაში იქმნება ცალკე შესაბამისი ბაზარი, რომელსაც გააჩნია შესვლის ცალკე ბარიერები, მასზე მოქმედი და პოტენციური სუბიექტები და მოცულობა (რომელიც განისაზღვრება შესასყიდი ობიექტის შესაბამისად). აღნიშნულის*

გათვალისწინებით სააგენტო განიხილავს განმცხადებლის მხრიდან სადავოდ გამხდარ თითოეულ ტენდერს ცალ-ცალკე.“[34]

გარდა ზემოთ აღნიშნული, სააგენტოს მიერ დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკისა, განსახილველი მოკვლევის ფარგლებში, თითოეული ტენდერის ცალ-ცალკე შესაბამის ბაზრებად მიჩნევის სასარგებლოდ, სააგენტო დამატებით ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

1. **მომსახურების დაფარვის პერიოდი** - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გასაწევი მომსახურება გულისხმობდა 2022-2023 წლების განმავლობაში მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევას, ასევე, 2022-2023 წელში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებას სამუშაოების დასრულებამდე. აღნიშნულის საპირისპიროდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გასაწევი მომსახურება მოიაზრებდა 2022-2023-**2024-2025 წლებში** გორის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევას, ასევე, **2025 წელში დაწყებული** და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებას სამუშაოების დასრულებამდე. შესაბამისად, აშკარაა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების დაფარვის არეალი გაცილებით ფართოა ვიდრე მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერის შემთხვევაში, რადგანაც პირველი შემთხვევა 2024-2025 წლებსაც მოიცავს.

2. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება** - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გასაწევი მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 200 000 ლარს შეადგენდა, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გასაწევი მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 2 800 000 ლარს. შესაბამისად, აღნიშნული მონაცემების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში გასაწევი მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1 600 000 ლარით ჩამოუვარდება გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ანალოგიურ მონაცემს.

3. **შესყიდვის ობიექტის მოცულობა** - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში ატვირთული ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობის ზედამხედველობა მოიცავს ფართო ჩამონათვალს, რომელიც 16 პუნქტისგან შედგება, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში ატვირთული ტექნიკური დავალების შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება მოიცავს უფრო ვიწრო ჩამონათვალს, რომელიც 11 პუნქტისგან

[34] ეს მიდგომა გამოყენებულ იქნა: სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის №04/166 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, გვ: 22-23; სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 27 დეკემბრის №04/216 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, გვ: 27-28

შედგება. ხსენებული ინფორმაციის შედარებისას დგინდება, რომ გარკვეული სახის აქტივობები ორივე ჩამონათვალში მეორდება, თუმცა სხვაობითაც გამოირჩევიან, მაგალითად, დაფარულ სამუშაოთა შესრულებაზე დაკვირვებას და შესაბამისი აქტების დამოწმებას ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის და არ ითვალისწინებს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალის ან/და ექსპლუატაციაში გასაშვები სისტემების გამოცდის პროცესზე დაკვირვებას, მათი არსებულ ნორმებთან შესაბამისად ჩატარების კუთხით და შესაბამისი აქტების შედგენაში მონაწილეობას ითვალისწინებს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია და არ ითვალისწინებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ატვირთული იგივე დანიშნულების დოკუმენტი.

4. **სპეციალისტების კვალიფიკაცია** - სპეციალისტების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ მოთხოვნები დადგენილია ორივე ტენდერის ფარგლებში. პროფესიული გამოცდილების თვალსაზრისით განსხვავება არ არის მოცემული (გამეორებულია 5 და 10 წლიანი გამოცდილება), თუმცა მნიშვნელოვანია სხვაობა სპეციალისტების კვალიფიკაციის კუთხით. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში მოთხოვნილია ისეთი სპეციალისტები, როგორიცაა ჰიდროტექნიკური ნაგებობების ინჟინერი (1), კავშირგაბმულობის/ტელეკომუნიკაციების ინჟინერი (2) და არქიტექტორი (3). აღნიშნული სპეციალისტებისგან არც ერთი მათგანი მოთხოვნილი არ არის მარნეულის თვითმმართველი ორგანოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში.

ამდენად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში, სააგენტომ ცალ-ცალკე დაადგინა შესაბამისი ბაზრები შემდეგი პროდუქციული საზღვრების გათვალისწინებით:

- ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი - **NAT220009661**.
- ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი - **NAT220015495**.

1.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.

ელექტრონული ტენდერის (**NAT220009661**) ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებები შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული ტერიტორიით - ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაბამის ბაზარს წარმოადგენს ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ვინაიდან მიწოდების წერტილები განსახილველი

ტენდერის ფარგლებში გაფანტულია მხოლოდ ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით.[35] **ამდენად, გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

ელექტრონული ტენდერის **(NAT220015495)** ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებები შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული ტერიტორიით - ქ. გორის მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ შესაბამის ბაზარს წარმოადგენს ქ. გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ვინაიდან შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის 2022 წელს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (N148) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მომსახურების გაწევის ადგილია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.[36] **ამდენად, გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

ელექტრონული ტენდერის (NAT220009661) ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია რაიმე დროითი ჩარჩო.

ანალოგიურად, ელექტრონული ტენდერის (NAT220015495) ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, ამ ბაზარსაც არ გააჩნია რაიმე დროითი ჩარჩო.

ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები

შესაბამისი ბაზრის სუბიექტის ცნება დაკავშირებულია კონკურენტი ეკონომიკური აგენტის კატეგორიასთან. კანონის მე-3 მუხლის ,,გ“ პუნქტის თანახმად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი. თავის მხრივ, კანონის მე-3 მუხლის ,,დ“ პუნქტის შესაბამისად, პოტენციური ეკონომიკური აგენტია დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. აქედან გამომდინარე, სააგენტო შესაბამისი ბაზრის სუბიექტებად განიხილავს არა მხოლოდ განსახილველი ტენდერის ფარგლებში არსებულ

[35] იხ., გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები: https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

[36] იხ., სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=contract&file=468378

მონაწილეებს (პრეტენდენტებს), არამედ ყველა იმ სუბიექტს, რომელთაც მოქმედი აკრედიტაციის პირობებში შეეძლოთ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება.

აკრედიტაციის ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის ინსპექტირების სფეროში აკრედიტირებული სუბიექტების რიცხვი შეადგენს 39-ს, მათ შორისაა მომჩივანიც.[37] აღნიშნული სუბიექტების აკრედიტაციის სფეროები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა - ზოგიერთი მათგანი აკრედიტირებულია მხოლოდ 6 სფეროში (მაგალითად, შპს ,,ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინი"), ზოგიერთი 16 სფეროში (მაგალითად, შპს ,,ოპტიმალ გრუპ+"), თუმცა ყველა მათგანი აკრედიტირებულია საერთო სფეროში - A-ტიპის ინსპექტირების ორგანო (მშენებლობის სფეროში). სააგენტომ დააზუსტა, რომ მოკვლევის მიმდინარე პერიოდისათვის აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულია 16 ინსპექტირების ორგანო, რომელსაც შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სფეროში საზედამხედველო მომსახურება (გარდა გაზიფიცირების სამუშაოების ზედამხედველობისა), მათ შორისაა მომჩივანი კომპანიაც.[38]

აქედან გამომდინარე, აღნიშნული 16 სუბიექტის საქმიანობის თანაკვეთა შესაბამისი ბაზრის ფარგლებში ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რის გამოც სააგენტო აღნიშნულ ეკონომიკურ აგენტებს განიხილავს შესაბამისი ბაზრის სუბიექტებად, როგორც მარნეულის, აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების (NAT220015495 და NAT220009661) მიმართ.

თავი IV. სააგენტოს შეფასება

ნაწილი 1. შესავალი

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი" მის მიერ წარმოადგენილ საჩივარში (თარიღი: 13.09.2022, რეგ: N01/1628) სადავოდ ხდის ერთი მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ 2022 წლის 18 მაისს გამოცხადებულ NAT220009661 სახელმწიფო შესყიდვის/ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულ იმ პირობას, რომელიც ითვალისწინებს, რომ პრეტენდეტს ან/და მის ქვეკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ უნდა ჰქონდეს აკრედიტაციის ცენტრთან სასამართლო დავა აკრედიტაციის სტატუსის თაობაზე. მეორე მხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის 5 აგვისტოს NAT220015495 სახელმწიფო შესყიდვის/ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში სატენდერო დოკუმენტაციის იმ პირობას, რომ პრეტენდნენტმა უნდა წარმოადგინიოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/ და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.

მომჩივანის პოზიციით, აკრედიტებული ინსპექტირების ორგანეობის ძირითად ბაზარს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვები, ხოლო აღნიშნული სატენდერო პირობებები

[37] იხ., აკრედიტაციის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი: https://gac.gov.ge/ka/accredited-bodies/35

[38] სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 28 ოქტომბრის წერილი N01/1934

დაუსაბუთებლად და უსაფუძვლოდ ზღუდავს ტენდერში მონაწილეობის უფლებას და წარმოადგენს კონკურენციის შემზღუდველ ჩანაწერს, კერძოდ, ზემოხსენებული სატენდერო პირობებით დაწესდა ტენდერში მონაწილეობის ბარიერი, რაც პირდაპირ აფერხებს მის ბიზნეს საქმიანობას და რამაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენას მას. შედეგად, მომჩივანის პოზიციით, მოპასუხეების მხრიდან სახეზეა „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ" ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.[39]

„კონკურენციის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის „გ" ქვეპუნქტს მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

სააგენტო ხელმძღვანელობს მეწარმეობის თავისუფლებასა და კონკურენციასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განვითარებული მნიშვნელოვანი პრაქტიკით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „მეწარმეობის თავისუფლება წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლების მნიშვნელოვან გამოვლინებას, ეკონომიკური მართლწესრიგის, ჯანსაღი და სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ურთიერთობების საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც არა მარტო მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი ნებისმიერი ქმედუნარიანი სუბიექტისათვის, არამედ თავად მეწარმეობაა თავისუფალი. მხოლოდ თავისუფალი მეწარმეობის დროსაა შესაძლებელი, მეწარმე სუბიექტი გახდეს კომერციული ურთიერთობების სრულფასოვანი თანამონაწილე და შეძლოს თავისი საქმიანი უნარ-ჩვევების სრულყოფილი გამოვლინება." თავისუფალი მეწარმეობის დაცვა და კონკურენციის განვითარება უზრუნველყოფს ბაზარზე სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური აგენტების საქმიანობას, რაც თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბების არსებითი წინაპირობაა. აღნიშნულის მისაღწევად სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგება.[40] საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.[41]

ჯანსაღი და თავისუფალი კონკურენციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ეკონომიკური აგენტების მიერ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამეწარმეო საქმიანობის კონკურენტულ გარემოში თავისუფლად და დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე შეუფერხებლად მონაწილეობის უფლება.

სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ისახავს მიზნად კანონის მე-10 მუხლი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების,

---

[39] იხ. დეტალურად გადაწყვეტილების თავი I, ნაწილი 1

[40] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/11/747 გადაწყვეტილება გვ. 6, §1 და შემდგომი

[41] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/2/411 გადაწყვეტილება, გვ.11-12, § 2-3

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი ასევე ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ. სწორედ აღნიშნულ მიზნებთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონის მე-10 მუხლის თითოეული დებულების ინტერპრეტაცია, ვინაიდან კანონის ეს მუხლი პირდაპირ არის მიმართული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი ამ ორგანოებისათვის აკრძალულ ქმედებათა ფართო სპექტრი. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ნებისმიერი სახის ისეთი ქმედება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს უქმნის შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და/ან დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენეტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ

შესაბამისად, სააგენტო წინამდებარე მოკვლევის ფაგლებში სადავო სატენდერო პირობებს შეაფასებს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით, კერძოდ, სააგენტოს შეფასების საგანია, რამდენად შეაფერხა მოპასუხე მხარეების - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის) და გორის მუნიციპალიტეტის მიერ სადავო სატენდერო პირობების გამოყენებამ მომჩივანის, როგორც ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური/სამეწარმეო საქმიანობა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სადავო ტენდერი (NAT220009661 და NAT220015495) მიჩნეულ იქნა ცალკე ბაზრად, ვინაიდან ორივე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაწესებული სადავო სატენდერო პირობები შინარსობრივად და კონცეპტუალურად იდენტურია, სააგენტო მათ შეაფასებს ერთობლივად და წინამდებარე თავში მოცემული მსჯელობა თანაბრად მიემართება ორივე სადავო ტენდერს.

აღსანიშნავია, რომ მომჩივანი დამატებით მოწოდებულ 2022 წლის 24 ოქტომბრის N01/1898 წერილში მიუთითებს, რომ სადავოდ გამხდარი ჩანაწერი ასევე მეორდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ NAT220020946 ტენდერში, სადაც კიდევ უფრო დაკონკრეტდა ჩანაწერი და პრეტენდენტს სთხოვენ უშუალოდ თბილისის საქალაქო სასამართლოდან ცნობის წარდგენას, რომ არ მიმდინარეობს დავა აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე, სააგენტო მიუთითებს, რომ ვინაიდან მომჩივანი მხარე ხაშურის მუნიციპალიტეტს არ ასახელებს, როგორც მოპასუხე მხარეს და მოკვლევის ფარგლებში არ მოუთხოვია მისი ჩართვა სხვა მოპასუხე მხარეებთან ერთად, სააგენტო წინამდებარე მოკვლევის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტს არ განიხილავს მოპასუხე მხარედ. თუმცაღა, იდენტური სატენდერო პირობის გამოყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ, ისევე, როგორც მოკვლევის ფარგლებში მოძიებული სხვა მუნიციპალიტეტების მიერ, მხედველობაში იქნება მიღებული ბაზარზე დამკვიდრებული ტენდენციისა და ზოგადი სურათის შესაფასებლად.

ნაწილი 2. სააგენტოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

მოკვლევის ფარგლებში საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა-დაზუსტების მიზნით სხვადასხვა სუბიექტებისაგან მოძიებულ და გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია/მტკიცებულებები, რომელთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა საქმისათვის რელევანტური შემდეგი ძირითადი გარემოებები:

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ წარმოადგენს „A” ტიპის ინსპექტირების ორგანოს (რეგისტრაციის თარიღი: 2020 წლის 15 ივლისი, ძალაშია 2024 წლის 5 ივლისამდე), რომელსაც აკრედიტაცია გააჩნია 18 სფეროში, რომელთაგან ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს ობიექტის სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ.მდე და 1000 ვ-ს ზევით) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინების ქსელების და სისტემების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება.

აღნიშნული ეკონომიკური აგენტი ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირების ბაზარზე ოპერირებს 2016 წლიდან. მათ შორის, მონაწილეობას იღებდა, იმარჯვებდა და შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებდა სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა/ინსპექტირების მომსახურებას სხვადასხა სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

2021 წლის ივნისში, აკრედიტაციის ცენტრმა ჩაატარა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ A ტიპის ინსპექტირების ორგანოს ყოველწლიური შეფასების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც დაფიქსირდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა (საქმიანობა აკრედიტაციის სფეროს მიღმა აკრედიტაციის სტატუსის გამოყენებით). შედეგად, აკრედიტაციის ცენტრს კომიტეტის 2021 წლის 16 ივლისის N16 სხდომის ოქმით მიიღო გადაწყვეტილება შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფისათვის“ საქმიანობის დროებითი შეჩერების შესახებ, ხოლო 2021 წლის 5 ნოემბრის აკრედიტაციის კომიტეტის N23 ოქმისა და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის N01/86 განკარგულების საფუძველზე შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ ნაწილობრივ შეუჩერდა აკრედიტაცია შემდეგ სფეროში - ობიექტის სამრეწველო და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ.მდე და 1000 ვ-ს ზევით) სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრიელბის ქსელების და სისტემების, წყალმომარაგება, კანალიზაცია,

წყალარინების ქსელების და სისტემების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება.

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ მონაწილეობას იღებდა მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ 2022 წლის 18 მაისს გამოცხადებულ NAT220009661 ტენდერში, რომელშიც დაწესებულ იქნა სადავო სატენდერო პირობა პრეტენდენტის ან/ და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსის მიმართებაში სასამართლო დავის არარსებობის თაობაზე. სატენდერო კომისიის 2021 წლის 8 აგვისტოს სხდომის ოქმი N6-ის საფუძველზე განხორციელდა შპს „საინჟინრო მნიტორინგის ჯგუფის“ დისკვალიფიკაცია იმ მიზეზით, რომ პრეტენდენტი ვერ აკმაყოფილებდა ხსენებულ სატენდერო მოთხოვნას.

ამასთან, საყურადღებოა, რომ აღნიშნული ტენდერის ფარგლებში მომჩივანი კომპანიის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება თანხის ნაწილში ორჯერ ნაკლებია გამარჯვებული კომპანიის მიერ გაკეთებულ სატენდერო წინადადებასთან შედარებით.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ ასევე მონაწილეობას იღებდა მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის 5 აგვისტოს გამოცხადებულ NAT220015495 სახელმწიფო შესყიდვაში, რომელშიც დადგენილ იქნა ზემოაღნიშნული სადავო პირობა სასამართლო დავის არარსებობასთან დაკავშირებით.

სატენდერო კომისიის 2022 წლის 15 სექტემბრის N3 სხდომის ოქმით ტედერში გამარჯვებულად გამოცხადდა მომჩივანის კონკურენტი კომპანია. სატენდერო კომისიამ განიხილა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ წარდგენილ საჩივართან მიმართებაში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 04 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა სადავო პირობას და რომლითაც სატენდერო კომისიას დაევალა, კიდევ ერთხელ ემსჯელა პირობის შინაარსის ჩამოყალიბებაზე. აღნიშნული არ იქნა დაკორექტირებული და სატენდერო კომისიის მიერ კვლავ ძალაში იქნა დატოვებული სადავო სატენდერო პირობა და შესაბამისად, შედეგებიც.

როგორც სადავო სატენდერო პირობებიდან და აღნიშნული ორი ტენდერის შედეგებიდან იკვეთება, პრეტენდენტთა მიმართ ტექნიკურ მოთხოვნებში გათვალისწინებული აღნიშნული სადავო პირობა ერთგვარ დათქმას უკეთებს პრეტენდენტებს, რომ მათ მიერ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში წარდგენილი წინადადება განხილულ და გათვალისწინებული იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინადადებების შერჩევა-შეფასების ეტაპზე - თუ მათ აქვთ მიმდინარე დავა აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით, რაც კარგად გამოიკვეთა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ მომჩივანი კომპანიის დისკვალიფიკაციის ეტაპზე.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში, როდესაც გამოყენებულ იქნება ფორმულირება „ზღუდავს პრეტენდეტებს მონაწილეობა მიიღონ ტენდერში“ იგულისხმება, რომ ფორმალურად, შესაძლოა, მათ ჰქონდეთ, შესაძლებლობა, წარადგინონ სატენდერო წინადადება, თუმცაღა, რაც არ უნდა საუკეთესო იყოს მათი სატენდერო წინადადება, აღნიშნულის შეფასების გარეშე, ამოქმედდება რა სადავო სატენდერო პირობა, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან წინადადებების შერჩევა-შეფასების ეტაპზე ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. აქედან

გამომდინარე, **ტენდერში მონაწილეობის შეზღუდვა, ამავდროულად მოიცავს სატენდერო წინადადებების შერჩევა-შეფასების ეტაპზე მონაწილეობის შეზღუდვასაც.**

<u>სასამართლო დავები მომჩივანის აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით</u>

2021 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ მოპასუხე სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი მოპასუხე ორგანოს 2021 წლის 16 ივლისის N16 სხდომის ოქმის დღის წესრიგის პირველ საკითხთან მიღებული გადაწყვეტილების ნაწილში, რითაც შპს „საინჟნრო მონიტორინგის ჯგუფს“ შეუჩერდა საქმიანობა სფეროში - „ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება“. ამავე სარჩელით მოსარჩელემ იშუამდგომლა, შეჩერდეს აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 16 ივლისის N16 სხდომის ოქმის დღის წესრიგის პირველ საკითხთან მიღებული გადაწყვეტილების მოქმედება იმ ნაწილში, რითაც შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯუფს“ შეუჩერდა საქმიანობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის განჩინებით შეჩერდა აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილების მოქმედება იმ ნაწილში, რითაც შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ შეუჩერდა საქმიანობა კონკრეტულ სფეროში. სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სუსპენზიური ეფექტი და მიეთითა, რომ აღნიშნული ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ღონისძიების გამოყენება ეფუძნება სასამართლოს გონივრულ ვარაუდს, რომ მისი განუხორციელებლობა ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას. შესაბამისად, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აკრედიტაციის ცენტრის იმ აქტის შეჩერების შესახებ, რომლითაც მომჩივან კომპანიას შეუჩერდა საქმიანობა.

2021 წლის 6 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 23 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ. თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის განჩინება.

2021 წლის 9 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაზუსტებული სარჩელით მიმართა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ მოპასუხე სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიმართ და სადავო ნაწილში აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 16 ივლისის N16 სხდომის ოქმის გარდა, ასევე მოითხოვა აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის N23 სდომის ოქმისა და აკრედიტაციის 2021 წლის 8 ნოემბრის N01/86 განკარგულების ბათილად ცნობა, რომლითაც მომჩივანს შეუჩერდა აკრედიტაცია სამშენებლო საზედამხედველო სფეროში.

ამავე დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელემ იშუამდგომლა აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის N23 სხდომის ოქმის და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის N01/86 განკარგულების მოქმედების შეჩერება. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექის 29-ე მუხლი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ნოემბრის განჩინებით შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შეჩერდა აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 5 ნოემბრის N23 სხდომის ოქმის და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის N01/86 განკარგულების მოქმედება, გარდა გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირების შეჩერების ნაწილისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ნოემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა აკრედიტაციის ცენტრმა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 19 ივლისის განჩინების გაუქმება. თუმცა სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აკრედიტაციის ცენტრის საჩივარი და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 ნოემბრის განჩინება.

შესაბამისად, ნათელია, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა პირველადი და დაზუსტებული სარჩელის ფარგლებში, აკრედიტაციის ორგანოს სადავო აქტების მოქმედების შეჩერება და მათ მიმართ სუსპენზიური ეფექტის გამოყენება გონივრულად და აუცილებლად მიიჩნიეს.

შესაბამისად, სააგენტომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, **მომჩივანი კომპანია შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით მოკვლევის პერიოდში არსებული ბოლო სამართლებრივი აქტი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2022 წლის 20 იანვრის განჩინება, რომლის ძალითაც, აღნიშნული განჩინების მიღებიდან სააგენტოში საქმის მოკვლევის დასრულებამდე შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“, უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე გააჩნდა მოქმედი აკრედიტაცია სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების სფეროში (გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების გარდა).**

ამასთანავე, საქმის მოკვლევის ფარგლებში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს, რომ სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტაცია გააჩნია 16 სუბიექტს, მათგან, სააგენტოში მიმდინარე მოკვლევის პერიოდისათვის და მინიმუმ ბოლო 4 წლის მანძილზე[42] სასამართლო დავა აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით გააჩნდა მხოლოდ მომჩივან ეკონომიკურ აგენტს.

[42] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/38 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (III) 3:43-3:50

ნაწილი 3. მოპასუხე მხარეები, როგორც კანონის მე-10 მუხლის ადრესატები

აღსანიშნავია, რომ მოპასუხე მხარეებს სადავოდ არ გაუხდია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად ყოფნისა და მის მიერ განხორციელებული ქმედების - სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესში მისი, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოდ მოქმედების ფაქტი.

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

როგორც კანონის მე-10 მუხლის დეფინიციდან ირკვევა ერთ-ერთ ადრესატს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ორგანო. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები (შემდგომ – მუნიციპალიტეტის ორგანოები), შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ორგანო არის ან წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანო.

განსახილველ შემთხვევაში, ერთი მოპასუხე მხარე არის სადავო სატენდერო პირობის შემცველი NAT220015495 სახელმწიფო შესყიდვის გამომცხადებელი ორგანო - გორის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო მეორე - NAT220009661 სახელმწიფო შესყიდვის გამომცხადებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, ხოლო 50-ე მუხლის მიხედვით, მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსადმი დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას. მერიას ხელმძღვანელობს მერი.

გორის მუნიციპალიტეტის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შემსყიდველის სახით გამოდის გორის მუნიციპალიტეტის მერია, რომელიც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ანალოგიურ ვითარებას ვხვდებით მარნეულის მუნიციპალიტეტის ტენდერშიც - მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ტენდერის გამომცხადებლად მითითებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანო ზოგადად, ტენდერში გამარჯვებულ ეკონომიკურ აგენტთან დადებული ხელშეკრულების მხარეს, მომსახურების დამკვეთ და შესრულებული მომსახურების მიმღებ მხარე წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია (წარმოდგენილი მერის სახით).

აქედან გამომდინარე, ორივე მოპასუხის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას, წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და შესაბამისად კანონის მე-10 მუხლის ადრესატს.

ნაწილი 4. სადავო სატენდერო პირობები კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით

4.1. სატენდერო პირობა, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეციული უფლებამოსილების საგანი

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს შეფასების საგანია მარნეულის მუნიციპალიტეტის ორგანოს (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მრავალჯერ ხსენებულ ორ სადავო ტენდერში გამოყენებული პირობა, რომლის მიხედვით ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, თავად ან მათ კონტრაქტორს არ უნდა ჰქონდეთ მიმდინარე დავა სასამართლოში აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „სატენდერო კომისია მოქმედებს შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით“, ხოლო მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.“

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, შეუძლია თავად განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია.

აქვე, ხაზგასასმელია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებია: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.“

შესაბამისად, ყოველი კონკრეტული შესყიდვის შემთხვევაში, სატენდერო კომისია, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადგენს და განსაზღვრავს კონკრეტულ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომელიც გაიწერება ტექნიკურ დოკუმენტაციაში და სატენდერო პირობებში. ვინაიდან კანონმდებელი ყოველი შესყიდვის ობიექტთან მიმართებით არ ადგენს კონკრეტულ სავალდებულო სატენდერო პირობებსა და მოთხოვნებს, აღნიშნული პირობების ჩამოყალიბების დისკრეციას უტოვებს თავად შემსყიდველ ორგანიზაციას, უფრო კონკრეტულად სატენდერო კომისიას, რომელიც ტენდერის ფარგლებში წარმოადგენს მას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილებას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების არსებობის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობა. სხვაგვარად რომ ითქვას, უნდა არსებობდეს ისეთი საკანონმდებლო აქტი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა. აღნიშნულს განაპირობებს ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლად არსებული კანონიერების პრინციპი (სზაკ-ის მე-5 მუხლი). „შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ, შესრულების ან/და ფუნქციურ სპეციფიკაციებთან, აგრეთვე პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. აღნიშნული მოთხოვნები უნდა იყოს პროპორციული და არადისკრიმინაციული, ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.

თავად დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი მოცემულია სზაკ-ის მე-6 მუხლში. კერძოდ, ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. მე-6 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს დისკრეციული უდლებამოსილების მინიჭების მიზნის შესაბამისად.[43] შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს კანონის ფარგლებში და კანონის მიზნის შესაბამისად.

4.2. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები კონკურენციის კანონმდებლობასთან მიმართებით

სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს, კერძო შემსყიდველი სუბიექტებისგან განსხვავებით, მოქმედების თავისუფლების გაცილებით შეზღუდული ფარგლები გააჩნიათ. მაშინ, როდესაც კერძო შემსყიდველი თავისუფლად შეიმუშავებს შესყიდვების სტრატეგიას, თავისუფლად არჩევს კონტრაჰენტს და ა.შ. სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციები ექვემდებარებიან სხვადასხვა იმპერატიულ მოთხოვნებს და შეზღუდულნი არიან კანონმდებლობით დადგენილი წესებით. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანაზომიერებისა და კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას. უფრო მეტიც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება მოახდინოს კანონით დადგენილი მიზნით, პროპორციულობის პრინციპის დაცვით.[44]

---

[43] იხ. რ. ხოფერია ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2016, გვ.228

[44] სუსგ ბს-316-314 (კ-17), 09/11/2017

როგორც აღინიშნა, დისკრეციული უფლებამოსილების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობა. ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფალი მოქმედების სფერო შებოჭილია მოქმედი კანონმდებლობით და მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონით დადგენილი შეზღუდვები. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ განხორციელებული ქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს კანონთან.[45]

დისკრეციული უფლებამოსილება მოიაზრება როგორც სამართლებრივად „შემბოჭავი თავისუფლება", ვინაიდან იგი შეზღუდულია დისკრეციული უფლებამოსილების ნორმის მიზნითა და ფარგლებით. საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა დისკრეციულ უფლებამოსილებას განიხილავს, როგორც კანონმდებლისა და ადმინისტრაციული ორგანოს ურთიერთობის საგამონაკლისო რეჟიმს.[46]

საქართველოს უზენაესი სასამართლო სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფას მიიჩნევს კონსტიტუციური პრინციპის - თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობისა და კონკურენციის განვითარების გარანტად.[47]

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-2 („ბ" და „გ" ქვეპუნქტები) და მე-13 მუხლების, „კონკურენციის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის დებულებებისა და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ერთობლივი სისტემური ანალიზიდან ირკვევა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის გამოყენებისას, კონკურენციის კანონის მე-10 მუხლის ნებისმიერ ადრესატს, საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას აქვს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეუფერხებლობის ვალდებულება. შესაბამისი ბაზრის ორგანული და ბუნებრივი განვითარების პროცესში არათანაზომიერი, ხელოვნური ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თავისუფალ ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მიმართ არსებულ საჯარო ინტერესებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონკურენციის კანონთან და უშუალოდ არ გამომდინარეობს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობიდან, სცილდება ამ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს. **კანონის მე-10 მუხლით დადგენილი აკრძალვების უგულებელყოფა არ შეიძლება გამართლდეს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებით, ვინაიდან კანონმდებლობით დადგენილი კონკურენციის დაცვის პრინციპი შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ზღვარია.**[48]

ნაწილი 5. სადავო სატენდერო პირობების კონკურენციის შემზღუდველი ეფექტის შეფასება კანონის მე-10 მუხლთან მიმართებით

[45] https://admin.competition.ge/uploads/e2c1d4347c3247db9c9cfe3627f4cd8f.pdf გვ.43

[46] იხ. ქ. გიორგიშვილი, შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, ადმინისტრაციული სამართალი, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, თბილისი, სიესტა, №1, 2013, გვ. 21

[47] სუსგ 21/07/2014, ბს-667-642(კ-13)

[48] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 აგვისტოს N04/216 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება

სააგენტო აღიარებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის ჭრილში დამატებით გულისხმობს ისეთი პრინციპების არსებობას, როგორიცაა მმართველობის ორგანოების საქმიანობის განხორციელება თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე.[49]

შესაბამისად, მმართველობითი ორგანოების საქმიანობის ფარგლებში დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეული ღონისძიების დროს აუცილებელია, დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები. „თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“[50]

სააგენტო ეჭვქვეშ არ აყენებს შესყიდვის ობიექტის მნიშვნელობას, მათ შორის მის საჭიროებას, ასევე არ უარყოფს შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან პრეტენდენტისთვის კონკრეტული მოთხოვნების დაწესების აუცილებლობას, თუმცა, აღნიშნავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნები/სატენდერო პირობები უნდა გამომდინარეობდეს ლეგიტიმური მიზნიდან, ადეკვატურად უნდა ასახავდეს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას და ამავდროულად უზრუნველყოფდეს პროპორციულ და არადისკრიმინაციულ მიდგომას იმ პოტენციური მიმწოდებლების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება.

სააგენტო აღნიშნავს, რომ წინამდებარე თანაზომიერების ტესტი მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში ფასდება კონკურენციის სამართლის კუთხით, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით და ემსახურება მიზანს, დადგინდეს: მოპასუხე მუნიციპალიტეტების ორგანოების მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში დაწესებული სადავო სატენდერო პირობები იწვევდა თუ არა მომჩივანი ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან სხვაგვარ შეფერხებას.

აღნიშნული ტესტის ფარგლებში სააგენტო იმსჯელებს, სადავო სატენდერო პირობების გამოყენება რამდენად ემსახურებოდა ლეგიტიმურ საჯარო მიზანს, აგრეთვე, რამდენად იყო შერჩეული ღონისძიება/სადავო პირობა გამოსადეგი, აუცილებელი, პროპორციული და არადისკრიმინაციული „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

5.1. ლეგიტიმური საჯარო მიზანი

[49] იხ. ზ. ადეიშვილი, ქ. ვარდიაშვილი, ლ. იზორია, ნ. კალანდაძე, მ. კოპალეიშვილი, ნ. სხირტლაძე, პ. ტურავა, დ. ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 40. ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი 2/2016 სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი

[50] დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/512, 26 ივნისი, 2012

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, უფლებაში ნებისმიერი ჩარევა თვითნებურ ხასიათს ატარებს და უფლების შეზღუდვა საფუძველშივე გაუმართლებელი, არაკონსტიტუციურია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: „სატენდერო კომისია, ყოველი კონკრეტული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემთხვევაში განსაზღვრავს მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი და შესყიდვის ობიექტი.“

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით „პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნები შესაძლებელია დადგინდეს მათი ცოდნის, გამოცდილების, სანდოობის, ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების შეფასების მიზნით.“

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის და მარნეულის მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილია სადავო პირობები აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში სასამართლო დავის არარსებობასთან დაკავშირებით.

სააგენტო მხედველობაში იღებს იმ გარემოებებს, რომ მუნიციპალიტეტები ახორციელებენ მომსახურების მრავალწლიან შესყიდვას, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო აღნიშნული სამუშაოების ზედამხედველობა არის პროცესი, რომლის ფარგლებშიც პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ სამუშაოებზე კომპეტენტური დაკვირვება.

შემსყიდველი ორგანიზაციების ინტერესია, რომ შემსყიდველის და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდეს საზედამხედველო სამუშაოების შეუსრულებლობის რისკის მინიმუმადე დაყვანა, ყველა მიმდინარე სამშენებლო ობიექტის განუსაზღვრელი ვადით შეჩერებით გამოწვეული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე რეპუტაციული და სხვა ზიანის თავიდან აცილება და ამ სიტუაციაში შემსყიდველის აღმოჩენის რისკების მაქსიმალურად შემცირება.

შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციების, როგორც საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების აღმასრულებელი ორგანოების მიზანი, რომ შეუფერხებლად განხორციელდეს მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება, რათა გათვალისწინებულ ვადაში დასრულდეს შესაბამისი ობიექტების მშენებლობა, შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ლეგიტიმური საჯარო მიზანი.

5.2. სადავო სატენდერო პირობის გამოსადეგობა

იმისთვის, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული შეზღუდვა თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გამოსადეგობის კრიტერიუმს. კერძოდ, ღონისძიების გამოსადეგობაზე მსჯელობისას უნდა დადგინდეს, რამდენად არსებობს ლოგიკური კავშირი ლეგიტიმურ მიზანსა და სადავო ნორმებით დადგენილ უფლების

შეზღუდვის ფორმას შორის – რამდენად იძლევა სადავო ნორმები დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.[51]

აუცილებელია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ და პირის უფლების ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ საშუალებას."[52]

სააგენტო აღნიშნავს, რომ მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სადავო შესყიდვის გამოცხადების (05.08.2022) და წინადადებების მიღების დასრულების (05.09.2022) პერიოდში, აგრეთვე მოპასუხე მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ სადავო შესყიდვის გამოცხადების (18.05.2022) და წინადადებების მიღების დასრულების (20.06.2022) პერიოდში მოქმედებდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განჩინება, რომლის ფარგლებში სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებული სუსპენზიური ეფექტი, შეჩერდა 2021 წლის 5 ნოემბრის აკრედიტაციის კომიტეტის N23 ოქმისა და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის 8 ნოემბრის N01/86 განკარგულების მოქმედება და აღდგა სტატუს ქვო, კერძოდ, აღნიშნული სადავო აქტების მიღებამდე არსებული სიტუაცია. შესაბამისად, სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომჩივან **შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს" განჩინების მიღებიდან სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პერიოდამდე გააჩნდა მოქმედი აკრედიტაცია ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სფეროში.**

სადავო სატენდერო პირობების გამოსადეგობასთან და აუცილებლობასთან დაკავშირებით მოპასუხე გორის მერია განმარტავს, რომ მართალია საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების პროცესში საზედამხედველო კომპანიის აკრედიტაციის შეჩერების რისკების სრულად აღმოფხვრა შეუძლებელია, თუმცა მნიშვნელოვანია შემსყიდველის და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდეს მათი მინიმუმამდე დაყვანა, რაც შესაძლებელია მითითებული მოთხოვნის მხოლოდ არსებული სახით ჩამოყალიბების შემთხვევაში და სხვაგვარად დასახული მიზანი ვერანაირად ვერ მიიღწეოდა.[53] საზედამხედველო მომსახურებაზე მიბმულია 80 მილიონი ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, შესაბამისად, მერიის მიზანი იყო მშენებლობები არ დარჩენილიყო მეთვალყურეობის გარეშე ან არ შეჩერებულიყო ახალი კომპანიის პოვნამდე.[54]

ორგანიზაციულ რისკებზე მიუთითებს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია და აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევის შუა პერიოდში სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებები დარჩებოდა ყოველგვარი ქმედითი და ხარისხიანი ინსპექტირების გარეშე, ხოლო საექსპერტო დასკვნები კი სანახევროდ შედგენილი.[55]

---

[51] შპს „მეტალინვესტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/1/543, 29 იანვარი, 2014

[52] საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, №2/1/536, 4 თებერვალი, 2014

[53] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/1687

[54] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 4:50-4:56

[55] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 3 ოქტომბრის წერილი N01/1772.

ამასთანავე, მოპასუხე მხარეები ეთანხმებიან იმ მოსაზრებას, რომ აკრედიტაციის სტატუსი მუდმივი არ არის და ხდება მათი პერიოდული მონიტორინგი აკრედიტაციის ცენტრის მიერ, თუმცა ეს ფაქტი ცალსახად არ უთანაბრდება აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებულ, სასამართლოში არსებულ დავას. აკრედიტაციის სტატუსის გადასინჯვა, ასევე აკრედიტაციის სტატუსის თავიდან მოპოვება დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ზუსტად არის განსაზღვრული პროცედურა, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს წინასწარ განსაზღვროს ის რისკები, რაც შესაძლებელია მოჰყვეს აკრედიტაციის სტატუსის განახლებას ან შშო-ს/ინსპექტირების ორგანოს ყოველწლიურ შემოწმებას. რაც შეეხება სასამართლოში არსებულ დავას, რომელიც შესაძლებელია განახლდეს ნებისმიერ დროს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, შემსყიდველ ორგანიზაციას ართმევს შესაძლებლობას, დროულად მოახდინოს პრევენცია.[56]

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მოპასუხე მხარეები ერთი მხრივ, აღიარებენ რომ სადავო სატენდერო პირობის გამოყენებით, რისკები, რომელთა დაზღვევასაც ეს უკანასკნელი ისახავდა მიზნად ბოლომდე ვერ იქნება აღმოფხვრილი, ანუ რისკები მაინც რჩება და ხელშეკრულების შეუსრულებლობისაგან დაზღვევის გარანტია, არ არსებობს,[57] მეორე მხრივ, აღნიშნავენ, რომ რისკი უფრო მაღალია, მაშინ როდესაც აკრედიტაციის სტატუსზე მიმდინარეობს დავა, ვიდრე ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც შშო-ს აკრედიტაციის სტატუსის დაკარგვის რისკი აქვს.[58]

„აკრედიტაციის წესებისა და პროცედურის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აკრედიტაციის შეჩერება განმარტებულია, როგორც აკრედიტებული შშო-ს აკრედიტაციის სფეროს დროებით, სრულად ან ნაწილობრივ შეჩერება, რა დროსაც შშო-ს უფლება არ აქვს თავის საქმიანობისას გამოიყენოს აკრედიტაციის სიმბოლო შეჩერებულ აკრედიტაციის სფეროში. ამასთანავე, აკრედიტაციის ციკლი მოიცავს აკრედიტაციის მინიჭებიდან მოქმედების 4-წლიან პერიოდს, მაგრამ არაუმეტეს 48 თვისა. აკრედიტაციის მინიჭების თარიღად ითვლება აკრედიტაციის ცენტრის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემის თარიღი.[59]

ის გარემოება, რომ მიუხედავად აკრედიტაციის 4 წლიანი ციკლისა, ნებისმიერი შშო დგას აკრედიტაციის სტატუსის შეჩერების ანდა დაკარგვის საფრთხის წინაშე და რომ აკრედიტაციის

---

[56] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/1687, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 3 ოქტომბრის წერილი N01/1772; მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 35:02-35:08

[57] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 37:20-37:32, 18:5-19:01, 22:50-22:57, მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 34:50-35:01

[58] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 23:02-23:07, მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 35:03-35:06

[59] სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი

4 წლიანი მოწმობა არ არის გარანტია მთელი ამ ვადის განმავლობაში აკრედიტაციის ქონისა, ნათლადაა დადგენილი „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურის“ მიხედვით. კერძოდ, თითეულ შშო-ს აკრედიტაციის სტატუსის შენარჩუნებაზე ზრუნვა უწევს ყოველ წელს ყოველწლიური სავალდებულო შემოწმების ფარგლებში. გარდა ამისა, ნებისმიერი შშო შესაძლოა, გახდეს აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან არაგეგმიური შეფასების ობიექტი, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს აკრედიტაციის ცენტრის მიერ განსახორციელებელი - აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს ან პირის ყოველწლიურ შეფასებასა და არაგეგმიური შეფასებაზე.

საკ 1.1:2020 აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები წარმოადგენს აკრედიტაციის მინიჭების, შენარჩუნების, შეჩერების და შეწყვეტის წესის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტს. აღნიშნული აქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ვეპუნქტის მიხედვით, აკრედიტაციის ორგანო ატარებს შესაბამის ღონისძიებებს და ყოველი შშო ექვემდებარება აკრედიტაციის შენარჩუნების პროცედურას იმის დასადგენად, განაგრძობს თუ არა ის აკრედიტაციის მოთხოვნების შესრულებას. კერძოდ, აკრედიტაციის შენარჩუნება აკრედიტირებული შშო-ს უწევს, მათ შორის, ყოველწლიური შეფასებისა და არაგეგმური შეფასების ფარგლებში.

„აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აკრედიტაციის შენარჩუნება დაკავშირებულია ყოველწლიური შეფასებასთან კერძოდ, აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს აკრედიტირებული შშო-ს ყოველწლიურ და არაგეგმურ შეფასებას.

აკრედიტაციის 4 წლიანი ციკლის განმავლობაში აკრედიტაციის ცენტრი ახორციელებს ყოველწლიურ შეფასებას, რომლის მიზანია დაადგინოს აკრედიტებული პირის საქმიანობის შესაბამისობა აკრედიტაციის სქემით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ყოველწლიური შეფასების გავლა სავალდებულოა ყველა აკრედიტებული შშო-ს მიმართ, აქედან გამომდინარე, ყველა ინსპექტირების ორგანო ყოველწიურად დგას რისკის ქვეშ, უწევს რა ძალისხმევის გაწევა შეინარჩუნოს მოქმედი აკრედიტაცია.

„წესებისა და პროცედურების“ მე-9 მუხლი არეგულირებს შეფასების დროს გამოვლენილ შეუსაბამობების, მაკორექტირებელი ღონისძიებების განხილვასა და შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. მნიშვნელოვანი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, ყოველწლიური შეფასების დროს მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გამოსწორების ვადა შეიძლება იყოს ადგილზე შეფასების დასრულებიდან არაუმეტეს 1 თვისა. აღნიშნულ ვადაში შშო-მ უნდა წარმოადგინოს განხორციელებული მაკორექტირებელი ღონისძიებები აკრედიტაციის ცენტრში. მნიშვნელოვანი შეუსაბამობის დადგენილ ვადაში არაღმოფხვრა იწვევს აკრედიტაციის სფეროს ნაწილობრივ ან სრულ შეჩერებას/გაუქმებას.[60]

მნიშვნელოვანი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, მნიშვნელოვანი შეუსაბამობის ფარგლებში შშო-ს საქმიანობის შეჩერებასთნ

[60] სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-9 მუხლის მე-7 პუნქტი

დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, დასაბუთებული წინადადებით მიმართოს აკრედიტაციის კომიტეტს, თუ არსებობს რისკი, რომ გამოვლენილი შეუსაბამობის მაკორექტირებელი ღონისძიების თაობაზე ინფორმაციისა და შესაბამისი მტკიცებულების აკრედიტაციის ცენტრში წარმოდგენამდე შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს შშო-ს მომხმარებელს ან/და აკრედიტაციისადმი ნდობას. იმ შემთხვევაში, თუ შშო არ განახორციელებს დადგენილ ვადაში მაკორექტირებელ ღონისძიებებს ან მისი მიზეზით ვერ განხორციელდება შეფასება დამატებითი ვიზიტის გზით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილ ვადაში, მაშინ შშო-ს შეუჩერდება/ გაუუქმდება აკრედიტაცია ან შეუმცირდება აკრედიტაცია.[61]

საგულისხმოა, რომ თავად მომჩივან კომპანიასაც ყოველწლიური შეფასების ფარგლებში დაუდგინდა მნიშვნელოვანი შეუსაბამობა, რაც, საბოლოო ჯამში, აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით სასამართლო დავამდე მივიდა.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“ შშო-ს არაგეგმურ შეფასებასაც მოიცავს. ყოველწლიური შეფასებისგან განსხვავებით ეს არ არის ყოველწლიური სავალდებულო პროცედურა, თუმცაღა „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“ ჩამოთვლის იმ არაერთ საფუძველს, რომელთა არსებობის შემთხვევაში აკრედიტაციის ცენტრი უფლებამოსილია განახორციელოს არაგეგმური შეფასება.

აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არ განსაზღვრავს კონკრეტულ პერიოდულობასა და ჯერადობას, თუ როდის ან წელიწადში რამდენჯერ შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული შშო-ს არაგეგმიური შეფასება, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენჯერ წარმოიშვება ამის საფუძველი. შესაბამისი საფუძველი კი შეიძლება მრავალი იყოს, როგორც ეს ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებიდან ჩანს - გარდა იმისა, რომ შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში გარკვეული ტიპის ცვლილებების საფუძველზე, აკრედიტაციის ცენტრის განხორციელებული ანალიზისა და სხვა შემთხვევებში, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს დასაბუთებული მომართვა, საჩივარი ან სხვა ინფორმაცია და სწორედ ამ საფუძვლით მიიღოს აკრედიტაციის ცენტრმა გადაწყვეტილება შშო-ს არაგეგმიური შემოწმების შესახებ.

ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არაგეგმიური შეფასების შემთხვევები მრავალგვარი, ზოგადია და ნებისმიერი შშო-ს მიმართ ნებისმიერ მომენტში შესაძლოა დადგეს, რაც დამოკიდებულია სამომავლო, უცნობ და განუჭვრეტად მოვლენებზე. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ნიშნავს იმას, რომ არაგეგმიური შეფასების ობიექტი ნებისმიერი ინსპექტირების ორგანო, შეფასების ანგარიშის საფუძველზე, ნებისმიერ მომენტში შესაძლოა დადგეს აკრედიტაციის შეჩერების, გაუქმების ანდა აკრედიტაციის შემცირების რისკის წინაშე.

ყოველწლიური და არაგეგმური შემოწმების ფარგლებში, აკრედიტაციის სტატუსის რისკის წინაშე შესაძლოა აღმოჩნდეს თავად ტენდერში გამარჯვებული კომპანიაც, ნებისმიერი ინსპექტირების ორგანო და როგორ დასრულდება აკრედიტაციის სტატუსის შენარჩუნების და თითოეული შშო-ს მიმართ ეს ყოვლად განუჭვრეტადი და არაპროგნოზირებადი საკითხია, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, შშო-ს საქმიანობის შესაბამისობაზე აკრედიტაციის სქემით

[61] იქვე, მე-9 პუნქტი

გათვალისწინებულ მოთხოვნებთან,[62] მეორე მხრივ, აკრედიტაციის ცენტრის შეფასებაზე სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით.[63]

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მრავალწლიანი ხელშეკრულებები, იზრდება რისკიც, ვინაიდან, ტენდერში გამარჯვებულ შშო-ს ყოველწიური შეფასების გავლა მოუწევს არა ერთხელ, არამედ იმდენჯერ, რამდენ წლიანიცაა ხელშეკრულება, აგრეთვე იზრდება რისკი გამოვლინდეს არაგეგმიური შემოწმების საფუძველიც.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც სადავო ტენდერის დოკუმენტაციიდან ირკვევა, შესყიდვის ობიექტი სამშენებლო საზედამხედველო მომსახურება მრავალწლიანია, ხოლო აკრედიტაციის მოწმობა გაიცემა 4 წლის ვადით, დღის წესრიგში, შესაძლოა დადგეს, არამხოლოდ ყოველწლიური სავალდებულო და არაგეგმური შეფასების უარყოფითი შედეგების რისკი, არამედ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, დიდი ალბათობით, მოუწევს განმეორებით აკრედიტაცია, რაც პირველადი აკრედიტაციის მსგავსი პროცედურაა.

„აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, განმეორებითი აკრედიტაცია პირველადი აკრედიტაციის მსგავსია. შესაბამისად, ყველა აკრედიტებულმა შშო-მ უწყვეტი აკრედიტაციის სტატუსის შესანარჩუნებლად აკრედიტაციის 4 წლიანი ვადისა და აკრედიტაციის მოწმობის ვადის ამოწურვამდე 6 თვით ადრე[64] უნდა მიმართოს რეაკრედიტაციას ანუ ხელახალ აკრედიტაციას, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიდან უნდა გაიაროს ის პროცედურა, რაც პირველადი აკრედიტაციის დროს. „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-2[1] მუხლი ჩამოთვლის იმ ეტაპებს, რაც შშო-მ უნდა გაიაროს აკრედიტაციის მისაღებად (წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, შესაბამისი ჩანაწერების განხილვა, კომპეტენციის დადასტურება შესაბამისი ტესტირების, გასაუბრების ან საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგების საფუძველზე, გასაუბრება/ინტერვიუ, გაზომვის აუდიტი, ვალიდაციის აუდიტი).

როგორც ვხედავთ, განმეორებითი აკრედიტაცია საკმაოდ კომპლექსური და მრავალეტაპიანი პროცესია და ყოველ შშო-ს უწევს გაიაროს ის პროცედურა, რაც თავის დროზე აკრედიტაციის მისაღებად გაიარა. ამასთან, არ არსებობს გარანტია, იმისა, რომ შშო, რომელიც ფლობდა აკრედიტაციას, აუცილებლად გაივლის რეაკრედიტაციის პროცესსაც, რადგანაც კანონმდებელი მიუთითებს, რომ ეს არის აკრედიტაციის შენარჩუნების ერთგვარი პროცესი, რომლის ფარგლებშიც აკრედიტაციის ორგანო სხვა გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს აკრედიტაციის ციკლის განმავლობაში მიღებული ყოველწლიური და არაგეგმური შეფასების შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ დაუშვებელია აკრედიტაციის სიმბოლოს გამოყენება აკრედიტაციის მოწმობის ვადის ამოწურვიდან ახალი აკრედიტაციის მოწმობის მინიჭებამდე პერიოდში.[65]

---

[62] სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი

[63] იქვე, მე-4 პუნქტი

[64] სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი

[65] იქვე, მე-5 პუნქტი

აქედან გამომდინარე, ცხადი და ნათელია, რომ მრავალწლიანი მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში კონტრაქტორ შშო-ს რეაკრედიტაციის ვალდებულება, შესაძლოა, უწევდეს რამდენიმე თვეში, 1 წელში ან თუნდაც სხვა 4 წლამდე პერიოდში, იმ მოცემულობაში, კი როდესაც სახეზეა შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც 4 წელზე მეტი ვადისაა, ინსპექტირების ორგანოს ყველა შემთხვევაში უწევს რეაკრედიტაციის პროცესის გავლა, რის შედეგადაც, არ არსებობს არანაირი გარანტია რომ მოიპოვებს აკრედიტაციის სტატუსს.

გარდა ამისა, აკრედიტაციის ცენტრის მონიტორინგის შედეგი, ნებისმიერ მომენტში შესაძლოა გახდეს სასამართლო დავის საგანი, თუ ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სტატუსი შეჩერების ანდა დაკარგვის საფრთხის ქვეშ დადგა და ასეთი საფრთხის ქვეშ თავად ტენდერში გამარჯვებული კომპანიაც შესაძლოა დადგეს.

ეს ნიშნავს იმას, რომ რისკი არსებობს ყოველთვის და ამ რისკის უპირობო გამორიცხვა შეუძლებელია, რადგანაც **არ არსებობს არანაირი გარანტია, რომელიც უპირობოდ დააზღვევდა ამ რისკს და ურყევ საფუძველს შექმნიდა კონკრეტული შშო-ს/ინსპექტირების ორგანოს მიმართ აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილების წინასწარ განსაზღვრის, ყოველწლიური შეფასების, არაგეგმიური შეფასებისა თუ რეაკრედიტაციის პროცესში. ამასთან, არ არსებობს არანაირი გარანტია, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგი არ დადგება რამე სხვა ნებისმიერი მიზეზითა თუ საფუძვლით, რისი წინასწარ განჭვრეტაც და პრევენციაც შეუძლებელია. შესაბამისად, ყოველი საფუძვლით ხელშეკრულების შესაძლო შეუსრულებლობის დაშვება არის ჰიპოთეტური და ალბათობაზე დაფუძნებული და შეუძლებელია იმის მტკიცება, რომელი გარემოება დადგება უფრო ადრე ან/და რომელი უფრო დიდი ალბათობის ხარისხით.**

სააგენტომ მოიკვლია, გარდა ყოველწლიური სავალდებულო შეფასებისა, 2018 წლიდან დღემდე შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიმართ გამოვლენილა თუ არა რომელიმე საფუძველი აკრედიტაციის ცენტრის მიერ არაგეგმიური შეფასების სამუშაოების განხორციელებისა.[66] აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის[67] მიხედვით, 2018 წლიდან დღემდე მომჩივანი კომპანიის მიმართ აკრედიტაციის ცენტრს არ გამოუვლენია არანაირი საფუძველი, რომელიც კომპანიის მიმართ არაგეგმიური შეფასების დაწყების მიზეზი გახდებოდა.

იმის დასადგენად, თუ რამდენად მაღალი იყო რისკი ყოველწლიური ანდა არაგეგმიური შეფასების საფუძველზე აკრედიტაციის სტატუსის დაკარგვისა, სააგენტო მოკვლევის ფარგლებში დაინტერესდა და მოიძია სტატისტიკური მონაცემები 2020, 2021, 2022 წლებში, აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილებით, ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტირებული პირებისთვის აკრედიტაციის შეჩერება ან/და გაუქმების შემთხვევებთან დაკავშირებით.[68] აკრედიტაციის ცენტრის მითითებით, მხოლოდ 2020 წელს აკრედიტაცია შეუჩერდა (სრულად) – 2 შშო-ს, აკრედიტაცია გაუუქმდა - 3 შშო-ს, სფერო შეუმცირდა - 3 შშო-ს, 2021 წელს აკრედიტაცია შეუჩერდა (სრულად)

[66] სააგენტოს 2023 წლის 24 იანვრის წერილი N02/198
[67] სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2023 წლის 31 იანვრის წერილი N01/360
[68] სააგენტოს 2022 წლის 18 ოქტომბრის N 02/923 წერილი

- 4 შშო-ს, აკრედიტაცია გაუუქმდა - 6 შშო-ს, აკრედიტაციის სფერო შეუმცირდა 4 შშო-ს, ხოლო 2022 წელს აკრედიტაცია შეუჩერდა (ნაწილობრივ) - 2 შშო-ს, აკრედიტაცია გაუუქმდა - 6 შშო-ს, სფერო შეუმცრიდა - 6 შშო-ს.[69]

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ნათლად ირკვევა, არც თუ ისე დაბალია იმ შშო-ების რიცხვი, რომლებიც ყოველწლიური შეფასების, არაგეგმიური შეფასებისა თუ სხვა მიზეზით ერთმევათ უფლება, განახორციელონ სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიმართ არ არსებობს არანაირი მყარი გარანტიები, რომ მომდევნო წლამდე შენარჩუნებული ექნება აკრედიტაციის სტატუსი.

ამასთანავე, როგორც ირკვევა, 2020, 2021 და 2022 წლებში სამშენებლო სფეროში მოქმედ არც ერთ ინსპექტირების ორგანოს, რომელსაც შეუჩერდა/გაუუქმდა/შეუმცირდა აკრედიტაცია სადავოდ არ გაუხდია აკრედიტაციის ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.[70] ამასთან, მიმდინარე ეტაპზე, ერთადერთი სასამართლო დავა, რომელიც აკრედიტაციის ცენტრს სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით წარმოებს, არის მხოლოდ მომჩივან კომპანიასთან მიმდინარე დავა.[71] აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ როგორც წესი, შშო-ები აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილებას აკრედიტაციის სტატუსის შეჩერებაზე, გაუქმებაზე ანდა სფეროს შემცირებაზე არ ასაჩივრებენ, ანუ ამ შემთხვევაში, საკითხი სრულდება აკრედიტაციის ცენტრისვე მიღებული გადაწყვეტილებით და ბევრად უფრო სწრაფად ხდება კონკრეტული სფეროს აკრედიტაციის სტატუსის დაკარგვა, ვიდრე, შესაძლოა, პოტენციურად მოხდეს მომჩივანის შემთხვევაში, რომელმაც დავა წამოიწყო სასამართლოში და უფლების დაცვის მექანიზმებით შეუძლია იდავოს სამი ინსტანციის ფარგლებში (რომელიც შესაძლოა წლობითაც კი გაგრძელდეს).

მოკვლევის პროცესში მოპასუხის მიერ წარმოდგენილი პოზიციით, სასამართლოში არსებული დავა, რომელიც შესაძლებელია განახლდეს ნებისმიერ დროს და მიღებულ იქნას გადაწყვეტილება აკრედიტაციის შეჩერების შესახებ, შემსყიდველ ორგანიზაციას ართმევს შესაძლებლობას, დროულად მოახდინოს პრევენცია. თუმცაღა, მოპასუხე მხარე მოკვლევის ფარგლებში ვერ მიუთითებს, თუ რაზე დაყრდნობით შეიძლება იმის თქმა, რომ სასამართლო დავა დასრულდება პირველ ინსტანციაში ან რამდენ ხანს გასტანს აღნიშნული დავა, რომლის საბოლოო დასრულებამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე სასამართლოსვე გადაწყვეტილებით შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ აღდგენილი აქვს აკრედიტაციის ფარგლებში საქმიანობის უფლება ან მეორე, რომ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის სტატუსის შეჩერების ძალაში დატოვების შესახებ. მოპასუხე მხარე, აგრეთვე ვერ ასაბუთებს, რაზე დაყრდნობით შეიძლება იმის განჭვრეტა, რომ სასამართლო დავის დასრულებამდე აკრედიტაციის მონიტორინგის ფარგლებში (რომელიც შეიძლება ჩატარდეს ხელშეკრულების დადებიდან რამდენიმე დღეში, რამდენიმე კვირაში ან რამდენიმე თვეში, თუ გავითვალისწინებთ არაგეგმიურ შემოწმების შესაძლებლობასაც) ან რეაკრედიტაციის

[69] სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის 2022 წლის 28 ოქტომბრის წერილი N01/1934
[70] იქვე
[71] იქვე

პროცედურის ფარგლებში, ტენდერში გამაჯვებული ნებისმიერი კომპანია აუცილებლად შეინარჩუნებს აკრედიტაციის სტატუსს.

ის, რომ სასამართლო დავის არსებობა-არარსებობის მიუხედავად, ხელშეკრულების ვადის მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, კარგად ჩანს თავად მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სადავო ტენდერის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარეც. კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ NAT220009661 ტენდერის ფარგლებში დადებული 2022 წლის 12 სექტემბრის ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტში, დეტალურად ჩამოთვლის და ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულება ცალმხრივად წყდება ვადამდე, პუნქტი ჩამოთვლის ათ კონკრეტულ შემთხვევას და მე-11 შემთხვევად მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს. ანალოგიურად, გორის მუნიციპალიტეტის მიერ NAT220015495 ტენდერის ფარგლებში 2022 წელს დადებულ ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოთვლის 9 კონკრეტულ შემთხვევას, ხოლო მე-10 შემთხვევად მიუთითებს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებს.

გარდა ამისა, აღნიშნული გარმოება დასტურდება პრაქტიკულადაც, კერძოდ, ტედერებში, რომელიც სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების მიზნით იქნა გამოცხადებული სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, თუმცაღა, ხელშეკრულების დასრულებამდე შემსყიდველი ორგანიზაციის ინიციატივით არამხოლოდ ცალმხრივად შეწყდა, არამედ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შემსყიდველისვე მოთხოვნით შავ სიაში სარეგისტრაციოდ იქნა გადაგზავნილი.

ასე, მაგალითად 2020 წელს შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ გამოცხადებული NAT200010867 (კლასიფიკატორის კოდი 71247000 - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა) ტენდერი, რომლის ფარგლებში შპს „მშენ-ექსპერტთან“ დადებული ხელშეკრულების საბოლოო სტატუსი არის - „შეუსრულებელი ხელშეკრულება“. 2022 წლის 10 ოქტომბერს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი (წერილი Nგ-36322022). 2022 წლის 1-ლ ნოემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა წერილით (N გ-3663) და მოითხოვა შპს „მშენ-ექსპერტის“ შავ სიაში რეგისტრაცია და მიზეზად დაასახელა ორგანიზაციისთვის უხარისხოდ შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მიღების რისკის ზრდა, აგრეთვე შპს ,,მშენ-ექსპერტის“ მიმართ მიმდინარე გარკვეული სამართლებრივი პროცედურები. როგორც შპს „საქართველოს მელიორაციამ“ სააგენტოსთან განმარტა,[72] ხელშეკრულების მოქმედების პროცესში, მიმწოდებელი კომპანიის დირექტორისა და ერთ-ერთ თანამშრომლის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი პროცედურები, რის შემდგომაც, შემსყიდველის არაერთი მიმართვის მიუხედავად, ვერ იქნა მიღებული პასუხი მომსახურების გაწევის მზაობაზე და ცხადი გახდა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რის საფუძველზეც, შემსყიდველი იძულებული გახდა ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება.

[72] შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2023 წლის 17 თებერვლის წერილი N01/600

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ნათელი ხდება, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად, ვადის ბოლომდე შეუსრულებლობის რისკი არსებობს ყველა შემთხვევაში და ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შედეგი შესაძლოა დადგეს ნებისმიერ დროს, ნებისმიერი მიზეზით, იმისდა მიუხედავად, მიმდინარეობს სასამართლო დავა აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით, შეუჩერდა, გაუუქმდა და შეუმცრიდა აკრედიტაციის სფერო მიმწოდებელს თუ არა. ამასთან, ის რომ ეს უკანასკნელი უფრო მაღალი დონის რისკს შეიცავს ვერ დასტურდება, თუნდაც ვადის თვალსაზრისით, სასამართლომ კანონიერადაც რომ მიიჩნიოს მომჩივანი კომპანიისათვის აკრედიტაციის სტატუსის შეჩერება, სასამართლო დავის დასრულებამდე, შესაძლოა, მრავალი მიზეზი/საფუძველი გაჩნდეს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტისა. მეორე მხრივ, რაღა თქმა უნდა, წინასწარ განუჭვრეტადია სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი და არანაირი საფუძველი არ არსებობს მივიჩნიოთ, რომ დავა აუცილებლად მომჩივანის საწინააღმდეგოდ დასრულდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა.

მოპასუხე მხარის მითითება, რომ აკრედიტაციის სტატუსის მონიტორინგი აკრედიტაციის ცენტრის მიერ არ უთანაბრდება აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებულ, სასამართლოში არსებულ დავას და რომ აკრედიტაციის სტატუსის გადასინჯვა, ასევე აკრედიტაციის სტატუსის თავიდან მოპოვება დარეგულირებულია კანონმდებლობის შესაბამისად და ზუსტად არის განსაზღვრული პროცედურა, რაც შემსყიდველ ორგანიზაციას შესაძლებლობას აძლევს წინასწარ განსაზღვრონ ის რისკები, რაც შესაძლებელია მოჰყვეს აკრედიტაციის სტატუსის განახლებას ან შშო-ს ყოველწლიურ შემოწმებას,[73] - სამართლებრივ დასაბუთებას მოკლებულია, რადგან ვერ საბუთდება თუ რა ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა ექნებათ იმ შემთხვევაში, თუ აკრედიტაციის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიმწოდებელს აკრედიტაცია შეუმცირდება/შეუჩერდება/გაუუქმდება და რით განსხვავდება ხსენებული შემთხვევა აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით მიმდინარე სასამართლო დავის შესაძლო შედეგებისაგან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე შემთხვევაში შშო-ს ჩამოერთმევა შესაბამისი საქმიანობის უფლება და ხელშეკრულების ფარგლებში ვეღარ შეძლებს ვალდებულებების შესრულებას.

შესაბამისად, მოპასუხე მხარეების მიერ მხოლოდ პოტენციურ და ჰიპოთეტურ რისკებზე აპელირება და ისიც, იმ პირობებში, როდესაც ვერ დასტურდება აღნიშნული რისკების უფრო მაღალი დონე, ვიდრე სხვა მრავალი შესაძლო შემთხვევისა, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობას გამოიწვევს, ვერ ადასტურებს გამოსადეგობის კრიტერიუმს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მხარეებს შეკითხვა დაესვათ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზეც, კერძოდ, კონკრეტულად რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს მაშინ, როდესაც გადაწყდა, რომ აკრედიტაციის სტატუსზე მიმდინარე სასამართლო დავა უფრო მაღალი დონის რისკის შემცველია, თუმცაღა, ამასთან დაკავშირებით მხარის განმარტება ვერ იქნა მიღებული, გარდა იმის მითითებისა, რომ რისკი უფრო მაღალია, რადგან უკვე მიმდინარეობს სასამართლო

[73] გორის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 22 სექტემბრის წერილი N01/1687

პროცესი. აქვე მიეთითა, რომ რა თქმა უნდა, წინასწარ არავისთვისაა ცნობილი, თუ რა ტიპის გადაწყვეტილებას და ვის სასარგებლოდ გამოიტანს სასამართლო.[74]

სააგენტო მიუთითებს, რომ რისკებთან დაკავშირებით, მთავარი ამოსავალი წერტილი არის პროცესების წინასწარი განჭვრეტადობის შეუძლებლობა, რისკების დაზღვევის შეუძლებლობა და რისკების ურთიერთშეფარდების შეუძლებლობა, რამეთუ შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, რომელი პროცესი უფრო მაღალი დონის რისკის შემცველია, ან რომელი მოვლენა დადგება უფრო მალე, ერთი მხრივ, სასამართლო პროცესი, რომლის საბოლოო დასრულების ვადა და შედეგებიც განუსაზღვრელია, მეორე მხრივ, განუსაზღვრელია, აკრედიტაციის ცენტრის მიერ განსახორციელებელი მონიტორინგის (ყოველწლიური და არაგეგმური შეფასება, რეაკრედიტაცია) შედეგები შშო-ს მიმართ, რაც საფუძველს მოკლებულს ხდის იმის მითითებას, რომ თუ გამოვრიცხავთ მიმდინარე სასამართლო დავის არსებობას, ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკს მინიმუმამდე დაწევს და აღნიშნული პირობა გამოსადეგი იქნება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ ***სადავო სატენდერო პირობების გამოყენება არ არის გამოსადეგი ლეგიტიმური საჯარო მიზნისათვის, ვინაიდან, სახელშეკრულებო ვადის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი არსებობს ყოველთვის და მეორე მხრივ, ვერ დასტურდება, რომ მოქმედი აკრედიტაციისა და პრაქტიკული საქმიანობის პირობებში მყოფი მომჩივანი კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების პოტენციური შეუსრულებლობა უფრო მაღალი დონის რისკია, ვიდრე სხვა პრეტენდენტის მიერ, მხოლოდ იმის გამო, რომ მომჩივანს აქვს მიმდინარე დავა აკრედიტაციის ცენტრთან.***

5.3. სადავო სატენდერო პირობის აუცილებლობა

გარდა გამოსადეგობისა, აუცილებელია, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა წარმოადგენდეს ლეგიტიმური მიზნების მიღწევის აუცილებელ და პირის უფლების ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ საშუალებას.[75]

სააგენტო მოკვლევის ფარგლებში დაინტერესდა, თუ რამდენად განხორციელდა მოპასუხე შემსყიდველი ორგანიზაციების სატენდერო კომისიების მხრიდან, სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადებამდე მოსამზადებელი პროცესის ფარგლებში, მსჯელობა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად სხვა ალტერნატიული საშუალებების/პირობების გამოყენების შესაძლებლობებზე, კერძოდ, ხომ არ უმსჯელიათ სხვადასხვა სატენდერო პირობაზე, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ ყოფილიყო რისკების დასაზღვევად და რომელიც უფრო ნაკლებ შემზღუდველი იქნებოდა პრეტენდენტებისთვის. ამასთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა ალტერნატიული ტიპის დამზღვევ ღონისძიებებზე საუბარი და მსჯელობა მოსამზადებელ

[74] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 22:40- 22:50

[75] საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, №2/1/536, 4 თებერვალი, 2014

ეტაპზე არ ყოფილა,[76] ხოლო გორის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ტენდერის მოსაზადებელი პროცესი ცოცხალი პროცესია და მსჯელობა ყოველთვის მიმდინარეობს გარკვეულ ჩანაწერებთან დაკავშირებით, თუმცაღა, კონკრეტულად ვერ იხსენებს რა ალტერნატიულ პირობებზე იყო მსჯელობა.[77]

გარდა აღნიშნულისა, სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში მოპასუხე მხარეებისგან ვერ მოისმინა განმარტება, იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არის დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი ისეთ შემთხვევაში, როდესაც მართალია მიმდინარეობს სასამართლო დავა სუბიექტის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით, თუმცა, სასამართლოს დავის განმავლობაში შეჩერებული აქვს იმ აქტის მოქმედება, რომლითაც სუბიექტს შეუჩერდა აკრედიტაცია. შესაბამისად, აღდგენილია სტატუს ქვო და მომჩივანი სარგებლობს მოქმედი აკრედიტაციის სტატუსით, ანუ არის აკრედიტებული შშო და ეძლევა საშუალება, თავისუფლად განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სააგენტო მოკვლევის ფარგლებში დაინტერესდა, თუ რამდენად აქტიურად ახორციელებს აკრედიტებულ საქმიანობას მომჩივანი სასამართლო დავის პარალელურად. სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემაზე დაყრდნობით მოძიებული ინფორმაციის მიხედვით ირკვევა, რომ 2022 წელს სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული იყო 98 ტენდერი, მომჩივან კომპანიას მიღებული აქვს მონაწილეობა 29 ტენდერში, გამარჯვება მოიპოვა 16 ტენდერში, აქედან 11 ხელშეკრულება მოკლევადიანია (შესრულების ვადა 31.12.2023 წლამდე), ხოლო 5 - გრძელვადიანი (შესრულების ვადა მაქსიმუმ 31.01.2024 წელი), ანუ საერთო ტენდერების 16%-ზე მეტი მოგებული აქვს და მომსახურებას ახორციელებს სწორედ მომჩივანი კომპანია. იმ მოცემულობაში, როდესაც სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტაცია გააჩნია 16 სუბიექტს, აღნიშნული მონაცემები, ადასტურებს, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ საკმაოდ აქტიურად ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ტენდერებში მონაწილეობას და მის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების შესრულებას.

გარდა ამისა, თავად შემსყიდველი ორგანიზაციები აცხადებენ, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ნაწილში მიმწოდებლის მხრიდან პრობლემები არ დაფიქსირებულა და ამ ეტაპისათვის, არ აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ მომავალში, შესაძლოა, დადგეს ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის რაიმე რისკი.

სააგენტომ მოკვლევის პროცესში გამოიკვლია, თუ რამდენად ხდებოდა მოპასუხე მუნიციპალიტეტების ორგანოების მიერ სადავო სატენდერო პირობის გამოყენება 2022 წლამდე ანალოგიური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში ან ხომ არ გამომდინარეობდა აღნიშნული სადავო პირობების გამოყენება წარსული დამკვიდრებული პრაქტიკიდან.

---

[76] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 26:45-26:51

[77] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 16:19 – 16:23

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა ინფორმაცია გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და მარნეული მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს მიერ 2022 წლამდე სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებულ ტენდერების თაობაზე და გადამოწმდა, აღნიშნულ ტედერებში გამოყენებული იყო თუ არა სადავო სატენდერო პირობის მსგავსი დათქმა:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემის მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას, 2022 წლამდე სამშენებლო საზედახმედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული აქვს მხოლოდ ორი ტენდერი: 2020 წლის 21 მაისს გამოცხადებული NAT200007679 ტენდერი და 2017 წლის 7 ივლისს გამოცხადებული NAT170007700 ტენდერი.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ორი ტენდერიდან არცერთი მათგანის ტექნიკურ მოთხოვნებში და დოკუმენტაციაში არ არის გამოყენებული განსახილველი სადავო პირობა აკრედიტაციის სტატუსთან მიმდინარე სასამართლო პროცესთან მიმართებით. შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მერიისათვის 2022 წელს გამოცხადებული სადავო ტენდერი არის პირველი შემთხვევა, როცა გამოყენებულ იქნა შეზღუდვა პრეტენდენტის ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს, 2022 წლამდე სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული აქვს მხოლოდ ერთი ტენდერი: 2019 წლის 20 ნოემბერს გამოცხადებული NAT190021952 ტენდერი. როგორც მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის მერიის შემთხვევაში, არც მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოს ტექნიკურ მოთხოვნებში და დოკუმენტაციაში არ არის გამოყენებული განსახილველი სადავო პირობა. შესაბამისად, 2022 წელს გამოცხადებული სადავო ტენდერი არის პირველი შემთხვევა, როცა გამოყენებულ იქნა შეზღუდვა პრეტენდენტის ტენდერში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად იყო 2022 წლის ტენდერებში პრეტენდენტების მონაწილეობის შემზღუდველი პირობის გათვალისწინების საფუძველი გასული წლების გამოცდილება იმავე მომსახურების შესყიდვის ფარგლებში, ამასთან დაკავშირებით, მოპასუხე მხარეები აცხადებენ, რომ კონტრაქტორის მხრიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან/და შესრულების შეფერხების პრობლემის წინაშე გასულ წლებში არ დამდგარან.[78]

საქმის სრულყოფილი და სრული მოკვლევის მიზნებისათვის, სადავო სატენდერო პირობის გამოყენების აუცილებლობასთან და მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, სააგენტო დაინტერესდა, თავად აკრედიტაციის პროცესის წარმმართველი ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის პოზიციითაც. აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი მიუთითებს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციები ხელშეკრულების დადებისას როგორ განსაზღვრავენ ფინანსურ საქმიანობისა თუ სახელმწიფო პროექტების შეუფერხებლად განხორციელების რისკებს, აღნიშნული უშუალოდ ამ ორგანიზაციების შესაფასებელი და

[78] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 9:14-19:16, მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 18:06 – 18:10

გადასაწყვეტია.[79] თუმცაღა, აქვე აზუსტებს, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი, მაინც არსებობს, იმისდა მიუხედავად, გამოყენებულ იქნება სადავო სატენდერო პირობა თუ არა.[80]

სადავო სატენდერო პირობების გამოყენების აუცილებლობასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მოპასუხეების პოზიციიდან იკვეთება, ხელშეკრულების შეწყვეტის რისკი, რის დასაზღვევადაც, მათივე თქმით, გამოყენებულ იქნა სადავო სატენდერო პირობა, ძირითადად, დაკავშირებულია ერთი მხრივ, ფინანსურ რისკებთან, მეორე მხრივ კი, დროით რისკებთან.

ფინანსურ რისკებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ორივე შემსყიდველ ორგანიზაციას სადავო ტენდერებში გამარჯვებულ კომპანიებთან დადებულ ხელშეკრულებებში დეტალურად აქვთ გაწერილი ანგარიშსწორების წესი და პირობები. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემაში ატვირთული მიღება-ჩაბარებების აქტებით ირკვევა, რომ ანგარიშსწორება ორივე მუნიციპალიტეტის მიერ წარმოებდა ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.[81] შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სრული ღირებულების გადახდა არ წარმოებდა წინასწარ, ფინანსური რისკებიც ბევრად ნაკლები იყო, რადგანაც შემსყიდველი იხდიდა იმის პროპორციულად, რა მოცულობის სამუშაოც შესრულდებოდა. გარდა ამისა, ორივე ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იყო, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წარედგინა წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-ის ჩათვლით; როგორც ერთი, ისე მეორე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განსაზღვრულია ხელშეკრულების ღირებულების 2.5%-ით.[82] ამასთანავე, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების

---

[79] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/38 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (III), 21:46-21:59; 24:51-24:55

[80] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/38 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (III), 10:00-10:06

[81] გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ოპტიმალ გრუპ +“-ს შორის დადებული N148 ხელშეკრულების მუხლი 5.2, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ოპტიმალ გრუპ +“-ს შორის დადებული 2022 წლის 12 სექტემბრის N196 ხელშეკრულების მუხლის 5.2

[82] გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ოპტიმალ გრუპ +“-ს შორის დადებული N148 ხელშეკრულებისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ,,ოპტიმალ გრუპ +“-ს შორის დადებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი

მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

რაც შეეხება, შესრულების ვადასთან დაკავშირებულ რისკს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში გამართული საკონსულტაციო შეხვედრის[83] დროს განმარტა, რომ კანონმდებლობით, კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია გამარტივებული შესყიდვის პროცედურა, თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა. აღნიშნულ პროცედურას არეგულირებს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“, რომელიც დამტკიცებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული წესით შეიძლება ჩატარდეს მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლობის ან/და იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები; შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციებს შესყიდვის კლასიკური პროცედურებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ გამოიყენონ გამარტივებული შესყიდვის პროცედურა, რომელიც ბევრად გამარტივებულ წესებსა და რაც მთავარია, შემჭიდროებულ ვადებში ახალი კონტრაქტორის მოძიებას უზრუნველყოფს.

გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, გამარტივებულ შესყიდვაზე, როგორც ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ახალი კონტრაქტორის მოძიების მექანიზმზე მიუთითა აგრეთვე გორის მერიის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე.[84]

გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ ყურადღება გაამახვილა ამავე წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევაზეც: თუ შესყიდვის დაყოვნება, ალბათობის მაღალი ხარისხით, გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ სიკეთე(ებ)ს (იგულისხმება საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას), შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, დაიწყოს შესყიდვის პროცედურები, რაზეც იგი იღებს დასაბუთებულ – გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას.[85]

შესაბამისად, რა თქმა უნდა, შემდგომში გამარტივებული შესყიდვის პროცედურის გამოყენება არ წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის თვითმიზანს ტენდერის გამოცხადების ეტაპზე, თუმცაღა, შემსყიდველი ორგანიზაციები არ რჩებიან გამოსავლის გარეშე

[83] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/47 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 26:00-26:42

[84] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 36:29 – 36:31

[85] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 23 იანვრის N03/47 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი საკონსულტაციო სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 10:00-11:01

და კანონმდებლობა გამონაკლის შემთხვევებში ითვალისწინებს გამარტივებული წესისა და შემჭიდროვებული ვადების ფორმით შესყიდვას. აღნიშნული ბერკეტის გამოყენება, მათ შესაძლოა დასჭირდეთ და შეუძლიათ გამოიყენონ აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კონტრაქტორ ინსპექტირების ორგანოს შეუჩერდება, გაუუქმდება ანდა შეუმცირდება აკრედიტაციის სფერო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **მოპასუხე მხარეების მიერ მხოლოდ იმის მითითება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია სატენდერო პირობებში სადავო მოთხოვნის დაწესების გზით და ხსენებული მოთხოვნა ფორმულირებული, ჩამოყალიბებული უნდა იყოს მხოლოდ ამ სახით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერანაირად ვერ მიიღწევა დასახული მიზანი, არ არის საკმარისი და ერთმნიშვნელოვნად ვერ დგინდება აღნიშნული მოთხოვნის აუცილებლობა.**

5.4. სადავო სატენდერო პირობის პროპორციულობა და არადისკრიმინაციულობა

სააგენტო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებას კონკურენციის კანონმდებლობასთან თანაზომიერების კონტექსტში, აგრეთვე შეაფასებს პროპორციულობისა და არადისკრიმინაციულობის კუთხით.

უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე."[86]

სატენდერო პირობის პროპორციულობასა და არადისკრიმინაციულობასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის" მიერ წარმოდგენილი DET220015495_01(NAT) საჩივრის (გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოყენებულ სადავო სატენდერო პირობასთან დაკავშირებით) ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო 2022 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მიუთითებდა: უნდა გამოირიცხოს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნის მიღწევის ალტერნატიული, მეტად პროპორციული მოთხოვნების ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობის შედეგად შესაძლებელი იქნება იმის განსაზღვრა, თუ რამდენად კმაყოფილდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიზნები, მათ შორის, იმის დადგენა, თუ რამდენად არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებული სადავო მოთხოვნები პროპორციული და არადისკრიმინაციული, რამდენად უწყობს ხელს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას და პრეტენდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას.[87]

---

[86] დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/512, 26 ივნისი, 2012

[87] https://tenders.procurement.gov.ge/dispute/engine/document.php?code=http://nbs.napr.gov.ge/nbs/v3/blobs/spa/9eb172924e508b868d20dc0ecadd1013-ca9bbbd6-f9d2-4261-8913-2dc11b7f25f0&mime=application/pdf&save=DET220015495_01(NAT)%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

სადავო სატენდერო პირობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, სააგენტო მიუთითებს, რომ იმისათვის, რომ სახეზე არ იყოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, სადავო ნორმის პროპორციულობის შეფასებისას კი გასათვალისწინებელია თავისუფალი მეწარმეობის უფლებაში ჩარევის ინტენსივობა.[88]

სატენდერო პირობის პროპორციულობასთან დაკავშირებით სააგენტო ასევე, ყურადღებას მიაქცევს, უკვე არაერთხელ ხსენებულ სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 იანვრის განჩინებას, სადაც მითითებულია: *„სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ანუ აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას დავის საბოლოო დასრულებამდე, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების პირობებში, აღდგენილია გასაჩივრებული აქტების გამოცემამდე არსებული ფაქტობრივი თუ სამართლებრივი მდგომარეობა. ანალოგიურ განმარტებას შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის №ბს-1389 (კს-19) განჩინება, რომ „...ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. დავის სასამართლოში გადაწყვეტამდე კანონი უბრუნებს პირს იმ სამართლებრივ და ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე“.*

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებულია სასამართლოს უფლება შეაჩეროს ინდივიდუალური აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სადავო აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულება არსებით ზიანს მიაყენებს მხარეს ან შეუძლებელს გახდის მისი კანონიერი უფლების ან ინტერესების დაცვას.

სასამართლო ახდენს საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირებას, რაც განპირობებულია ამ ინტერესებს შორის ბალანსისა და მმართველობითი საქმიანობით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების დაცვის აუცილებლობით. ამდენად სუსპენზიური ეფექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე პირის დაცვა არასასურველი მმართველობითი ღონისძიების განხორციელებისაგან, რაც გულისხმობს იმ მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელიც სადავო აქტის გამოცემამდე არსებობდა.

სასამართლოს განმარტებიდან გამომდინარე ნათელია, რომ სუსპენზიური ეფექტი გამოყენებულ იქნა სწორედ იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო შესაძლო შედეგი მომჩივანის სასარგებლოდ დავის გადაწყვეტის შემთხვევაში და უზრუნველყოფილიყო მისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების პრევენცია. შესაბამისად, სასამართლომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, რომელიც, მომჩივანს აღუდგინა უფლება გაეგრძელებინა სამეწარმეო

[88] საქართველოს მოქალაქე ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/5/826, 21 აპრილი, 2017

საქმიანობა სამშენებლო საზედამხედველო მომსახურების სფეროში (გარდა გაზიფიცირების საზედამხედველო სამუშაოებისა). ამის საპირისპიროდ, მოქმედი აკრედიტაციის პირობებში, მოპასუხე ორგანიზაციების მხრიდან სადავო სატენდერო პირობის ბარიერის სახით გამოყენებით შეიზღუდა მომჩივანის უფლება ტენდერში მონაწილეობაზე. ამით, შემსყიდველი ორგანიზაცია, ასევე, ეჭქვეშ აყენებს ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული განჩინების სისწორეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების და დავის დასრულებამდე მომჩივანისთვის საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

გარდა ამისა, სააგენტო ყურადღებას მიაქცევს, სატენდერო ჩანაწერს იმ კუთხით, რომ შეზღუდვა შეეხება არა მხოლოდ მთავარ კონტრაქტორს, არამედ ქვეკონტრაქტორსაც: არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/ და **მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** აკრედიტაციის სტატუსის მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მომჩივან კომპანიას ეზღუდებოდა უფლება მონაწილეობა მიეღო გამოცხადებულ სადავო ტენდერებში არა მხოლოდ როგორც ძირითადი კონტრაქტორის სტატუსით, არამედ ქვეკონტრაქტორის სტატუსითაც კი, რაც ფაქტობრივად სრულად ართმევდა უფლებას მოქმედი აკრედიტაციის პირობებში რაიმე სტატუსით ყოფილიყო პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერებში.

ასევე აღსანიშნავია, რომ როგორც ერთ-ერთი მოპასუხე, გორის მუნიციპალიტეტის მერია მიუთითებს, დღესდღეისობით ბაზარზე ფუნქციონირებს 16 კომპანია, რომლებსაც გააჩნიათ აკრედიტაცია სამშენებლო ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებზე ზედამხედველობის სფეროში, რომლებმაც თავად ან საჭიროების შემთხვევაში ქვეკონტრაქტორთან ერთად შესაძლებელია დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, ამ რაოდენობის კომპანიებს შორის კონკურენცია არ შეიზღუდება ერთი ან ორი კომპანიის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში სასამართლო დავის არსებობის შემთხვევაში.[89] მომჩივანის გარდა სხვა უმარავი კომპანია აკმაყოფილებდა სატენდერო პირობებს, ამიტომაც კონკურენციის შეზღუდვას არ ჰქონია ადგილი.[90]

ორივე მოპასუხე მხარე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტენდერის მოსამზადებელ ეტაპზე, ბაზრის კვლევის პროცესში გახდა ცნობილი ბაზარზე არსებული კომპანიებიდან ერთ-ერთის - შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიმდინარე დავის თაობაზე სასამართლოში აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით, შესაბამისად, აღნიშნული გარემოების შეტყობის შემდგომ გადაწყდა სატენდერო პირობებში სადავო პირობის გამოყენებაც.[91]

ამასთანავე, როგორც უკვე აღინიშნა, ერთადერთი სასამართლო დავა, რომელიც აკრედიტაციის ცენტრს სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებით აქვს, არის მხოლოდ მომჩივან კომპანიასთან

---

[89] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 6:31 – 6:35

[90] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 33:32 – 33:35

[91] მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/22 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 11:16-11:30, მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ 2023 წლის 17 იანვრის N03/21 მოხსენებითი ბარათით წარდგენილი ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N1 და შესაბამისი აუდიო ჩანაწერი (I) 14:00 – 14:03

მიმდინარე სასამართლო დავა, შესაბამისად, სადავო სატენდერო პირობის გამოყენების გამო ტენდერში მონაწილეობა ეზღუდებოდა მხოლოდ მომჩივან კომპანიას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტო განმარტავს, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სადავო სატენდერო პირობით ან კონკურენციის სავარაუდო შემზღუდველი/ამკრძალავი ან გამომრიცხავი სხვა პირობით შეზღუდულ პირთა მინიმალურ ოდენობას იმისათვის, რომ სააგენტომ მოკვლევის ფარგლებში იმსჯელოს და დაადგინოს, არის თუ არა აღნიშნული ჩანაწერი კონკურენციის შემზღუდველი. კონკურენციის კანონმდებლობისა და კონკრეტულად, მე-10 მუხლის აღსრულებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი ეკონომიკური აგენტის მიმართ შესაძლოა დადგეს სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვის, შეჩერების ან სხვაგვარად შეფერხების რისკი, არამედ მე-10 მუხლით დადგენილი აკრძალვა, დისკრიმინაციის გარეშე, თანაბრად ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენი სავარაუდო „დაზარალებული“ ეკონომიკური აგენტია სახეზე.

სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე გორის მერიის მიერ დაფიქსირებული არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ჩანაწერით მხოლოდ ერთ ან ორ კომპანიას ეზღუდება ტენდერში გამარჯვების შესაძლებლობა, ერთმნიშვნელოვნად ვერ იქნება და არ არის საკმარისი ხსენებული ჩანაწერის კონკურენციის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **სადავო სატენდერო პირობა არ არის პროპორციული, იგი ვერ უზრუნველყოფს საჯარო და კერძო ინტერესების შეწონადობას, ვინაიდან გაურკვეველი ვადით უზღუდავს მომჩივანს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას კონკრეტულ სფეროში, მაშინ, როდესაც სწორედ აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზაციის მიზნებისათვის იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ სუსპენზიური ეფექტი. მეორე მხრივ, სადავო ჩანაწერი ვერ ჩაითვლება არადისკრიმინაციულად მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნულით ტენდერში მონაწილეობის უფლება ეზღუდება მხოლოდ ერთ (ამ შემთხვევაში მომჩივან) ეკონომიკურ აგენტს, ვინაიდან კონკურენციის სამართლის აღსრულება თანაბრად ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ეკონომიკურ აგენტს ეხება შესაძლო შემზღუდველი ქმედება.**

ნაწილი 6. დასკვნა

სააგენტოს მიერ განხორციელებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

• **მოპასუხე მხარეები** - მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანო და გორის მუნიციპალიტეტის მერია, **ექცევიან კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მუნიციპალიტეტის ორგანოს ცნებაში და წარმოადგენენ ამ ნორმის ადრესატს;**

• **მოპასუხე მხარეების მიერ სადავო სატენდერო პირობების გამოყენება „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით არ იყო თანაზომიერი,** კერძოდ, სადავო სატენდერო პირობის გამოყენება, როგორც მმართველობითი ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ბერკეტი ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, თუმცაღა, დარღვეული იყო გამოსადეგობის, აუცილებლობის, პროპოციულობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპები;

• **მოპასუხე მხარეების მიერ სადავო სატენდერო პირობების გამოყენებამ შექმნა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი, რამაც გამოიწვია ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება;**

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ:

მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოს (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ქმედება, რომლითაც მომჩივანის მიმართ მოქმედი აკრედიტაციის პირობებში სადავო სატენდერო პირობების გამოყენებით შეიზღუდა ტენდერში მონაწილეობის უფლება, წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

<u>სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ აფასებს აკრედიტაციის ცენტრისა და სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს და არ განიხილავს, თუ რამდენად სწორად განხორციელდა მომჩივანის მიერ აკრედიტაციის სფეროს გამოყენება ან რამდენად სწორად მოხდა მის მიმართ საქმიანობის დროებითი შეჩერება ან/და აკრედიტაციის სფეროს შეჩერება. სააგენტო კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნევს ტენდერში მონაწილეობის შემზღუდველი პირობების გამოყენებას, როდესაც აღნიშნულ ქმედებას არ გააჩნდა იმგვარი საფუძველი, რომელიც დააკმაყოფილებდა შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს.</u>

თავი V. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ გადაწყვიტა:

1. დადასტურდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა;
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას) და გორის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გამოცხადებულ ტენდერებში სატენდერო პირობები ჩამოაყალიბონ ისე, რომ ამ უკანასკნელმა არ შექმნას ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ან სხვა სახის ბარიერი და არ გამოიწვიოს ეკონომიკური აგენტის

საქმიანობის შეფერხება, მათ შორის არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, რომელიც სასამართლოს აქტის საფუძველზე, მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით;

3. სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს დაევალოთ, სატენდერო პირობების ფორმირების პროცესში უზრუნველყონ კონკურენციის პრინციპის დაცვა, მათ შორის, არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, რომელიც სასამართლოს აქტის საფუძველზე მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით;

4. წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეთხოვოს შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საკუთარ ვებგვერდზე განთავსების (ან სხვაგვარი შეტყობინების) გზით;

5. წინამდებარე გადაწყვეტილება გადაეგზავნოს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს;

6. წინამდებარე გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ ხაშურის, ქარელის, კასპის, წალკის, გარდაბნისა და დმანისის მუნიციპალიტეტებს.